88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

„არს მთის კალთას, ხეანდას, სასახლე მეფეთა და ცეხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №19-20 (7049) 25 ოქტომბერი 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

მეორე ტურის გარეშე...

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი, 2 ოქტომბრის არჩევნები, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად უჩვეულო ვითარებაში ჩატარდა, რაც ძირითადში ორი მომენტით იყო განპირობებული. ერთი ის, რომ არჩევნები იმ ახალი საარჩევნო კოდექსის შესაბამისად გაიმართა, სადაც ბევრი სიახლეა გაწერილი და მეორეც — ეს იყო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ფარული შემოსვლა ქვეყანაში, რომელიც არჩევნების წინ დააპატიმრეს მისთვის სასამართლოს მიერ ადრე წლებში დაკისრებული სასჯელის მოსახდელად. ბუნებრივია, რომ ყოფილი პრეზიდენტის, ამგვამად უკრაინის მოქალაქის, საქართველოში შემოსვლამ და დაკავებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ქვეყანაში პოლარიზაციის გაზრდას...

ასეთ პირობებში ჩატარდა 2 ოქტომბრის არჩევნები... როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პროცესებს ცალკეულ რეგიონებში გარკვეული ექსცესები ახლდა, მაგრამ როგორც უცხოელმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, მთლიანობაში ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციამ თავი კარგად გაართვა დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა, არჩევნები ამით არ დამთავრებულა.

წინ მეორე ტურია, რადგან 20 რეგიონში, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქში—თბილისში, ასევე ჭუთაისში, რუსთავში, ბათუმში და სხვაგან (სულ 20 რეგიონში) ასარჩევია მუნიციპალიტეტის მერები და ათეულობით მაჟორიტარი დეპუტატი.

საგულისხმოა, რომ თუ მმართველი პარტია, ჯერჯერობით, კვლავ აგრძელებს ბრძოლას მერობისა და მაჟორიტარობის მანდატებისათვის, მან დავა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად 43%-იანი ზღვარის დაძლევაზე არა თუ დაძლია, 4%-იანი გადაჭარბებით მოიგო კიდეც...

მეორე ტური, 30 ოქტომბერს გაიმართება...

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...

ახლა კი, რაც შეეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში საარჩევნოდ, არჩევნების დღეს და მის შემდეგ განვითარებულ პროცესებს...

მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოების 2 ოქტომბრის არჩევნების წინასაარჩევნოდ გაზეთ „თერჯოლაში“ არაერთგზის გავაჟღერეთ, რომ მუნიციპალიტეტში, საარჩევნო კამპანია იყო საკმაოდ მშვიდი და პროცესები ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ ამ არჩევნების მიმართ ინტერესი ნაკლები იყო, პირიქით, მის შედეგებს მოუთმენლად ელოდნენ არა მარტო მუნიციპალიტეტის ამომრჩეველები...

პირველივე წინასწარი შედეგებით, მალევე გახდა ცნობილი, რომ ეს არჩევნები მუნიციპალიტეტის მერისა და ასევე, საკრებულოში მაჟორიტარული ოლქებიდან დეპუტატების არჩევის თვალსაზრისით, მეორე ტურს აღარ საჭიროებდა ანუ გამარჯვებულები პირველივე ტურში გამოვლინდნენ...

რამდენიმე დღის წინ, მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს, გაიმართა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია მუნიციპალიტეტის მოქმედი მერი ლაშა გოგიაშვილი, რომელსაც არჩევნებში მონაწილე მუნიციპალიტეტის 20423 ამომრჩეველიდან ხმა მისცა უმრავლესობამ — 10313 ამომრჩეველმა. ვულოცავთ ბატონ ლაშას ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს იმ ურთულეს საქმიანობაში, რასაც თერჯოლის განვითარება და თერჯოლელებისთვის სიკეთისა და სასიკეთო საქმეების კეთება ჰქვია!

№49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი სხდომა, რომელმაც კომისიის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ერთხმად დაამტკიცა 2 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები.

საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნაზი სირაძემ, რომელმაც პერსონალურად უყარა კენჭი გამარჯვებულ კანდიდატთა საბოლოო შედეგების დამტკიცებას, კომისიის წევრებთან ერთად, ამომრჩეველთა აღიარება მოელოცა მათ და წარმატებები უსურვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.

ამ ინფორმაციის ბოლოს გვინდა ჩვენი წინასაარჩევნო პერიოდის (28 სექტემბერი, 2021 წ. №18) „თერჯოლის“ პუბლიკაციიდან („არჩევანი ჩვენზეა!“) ერთი აბზაცი მოვიყვანოთ. მაშინ ჩვენ ვწერდით: **„იმედი დავიტოვოთ, რომ არჩევნებიც და არჩევნების შემდგომი დღეებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში კვლავ იქნება გამორჩეულად მშვიდი, ხოლო არჩეული კანდიდატები და მათი ოპონენტები გააგრძელებენ საქმიან თანამშრომლობას თერჯოლის წარმატებისა და განვითარებისათვის“.**

ჩვენი ამ სურვილის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, არჩევნებისა და მისი შემდგომი დღეების გამორჩეულად მშვიდ გარემოში განვლის თაობაზე გამართლდა... იმედი დავიტოვოთ, რომ ასევე გამართლდება ამ სურვილის არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ნაწილი, რომ არჩეული კანდიდატები და მათი ოპონენტები გააგრძელებენ საქმიან თანამშრომლობას თერჯოლის წარმატებისა და განვითარებისათვის!

„თერჯოლა“

350 პირველკლასელი...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებს წელს 350 პირველკლასელი შეემატა. მათთვის სწავლა 4 ოქტომბერს დაიწყო ტრადიციული ფორმით—საკლასო ოთახებში, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო... ცხადია, პირველკლასელებზე ე.წ. „ონლაინ სწავლება“ იმ ეფექტს ვერ მოახდენდა, რასაც მასწავლებელთან და თანატოლებთან პირველი და პირისპირ შეხვედრა, მერხებზე დაწყობილი სახელმძღვანელოები, რვეულები და პირველკლასელთა „ბუკები“—კომპიუტერები, გაცნობა და პირველი საუბარი მომავალ დღეებზე, პირველი ლექსის თქმა და პირველი დავალება...

ვულოცავთ ყველა პირველკლასელს პირველკლასელობას და წარმატებებს ვუსურვებთ სწავლის მთელ მანძილზე და უფრო შორეულ მომავალში... მრავალგზის გაეხარებინოთ მშობლები, აღმზრდელ-პედაგოგები და მშობლიური თერჯოლა წარმატებითა და სასახელო საქმეებით!

ვეტერანთა დღე... გილოცავთ!

17 ოქტომბერს საქართველოში ტრადიციული ვეტერანთა დღე აღინიშნა.

ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც მისასალმებელი სიტყვით ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა კობა კობალაძემ გახსნა, საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ჩვენი გადაწყვეტილებით, ვეტერანთა ყოველთვიური დანამატი იანვრიდან 5-ჯერ გაიზრდება“—ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა სხვადასხვა თაობის ვეტერანებს ვეტერანთა დღე მიულოცა, განუული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობა შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს ვეტერანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ვლადიმერ (ლადო) კეპულაძე: „მეომრისთვის ომი არასოდეს მთავრდება“...

☞7

შედეგები შეჯამდა და იგი საბოლოოა...

მუნიციპალიტეტის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიამ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს შეაჯამა.

☞4,5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან", ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

იუსტიციის სახლის მშენებლობა დაიწყო

ამ ადგილზე, თერჯოლა, რუსთაველის ქ. №116, რომელიც ახლა სამშენებლო უსაფრთხოების ღობითაა შემოსაზღვრული, იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ თავის მოადგილეებთან ერთად, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ და საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან ნაქაძემ სიმბოლური კაფსულა ჩადეს.

თერჯოლაში იუსტიციის სახლის მშენებლობა არქიტექტორ მიხეილ გიორგობიანის პროექტით განხორციელდება და ფილიალის საერთო ფართი 818 კვადრატული მეტრი იქნება.

იუსტიციის სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოქალაქეები სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებს უფრო კომფორტულ გარემოში მიიღებენ.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „სამშენებლო კომპანია №1" ანხორციელებს. პროექტის ღირებულება 5 195 000 ლარია.

იუსტიციის მინისტრი, საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატი და მხარის რწმუნებული იმავე დღესვე თერჯოლაში, დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ესტუმრნენ, რომელიც ახალ რეაბილიტირებულ ფართში განთავსდა.

მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად იმ დღის ღონისძიებაში მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ჩხარის ცენტრი მშვენდება...

აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ჩხარის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სამშენებლო სამუშაოები ადგილზე მოინახულა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

„თერჯოლაში წარმატებით არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, მათ შორის აქტიურ ფაზაშია სოფელ ჩხარის ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა: დასასვენებელი სკვერი, გზირთა მეშორიალი და ა/ბეტონის მოედანი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შექმნას"— აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

სამშენებლო სამუშაოებს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „საგო" ახორციელებს, რომლის ღირებულება 154 998 ლარს შეადგენს.

რეაბილტირდა სახლები, სკვერები და ტროტუარები...

მუნიციპალიტეტის მერმა, თერჯოლის ცენტრალურ ნაწილში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები მოინახულა. ეს პროექტი პროგრამა „განახლებული რეგიონები"-ს ფარგლებში მიმდინარეობს, ამჟამად სამუშაო პროცესი დაწყებულია რუსთაველის №105 და №107 საერთო საცხოვრებლებზე, რომელთა სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ამავე სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერების, ტროტუარებისა და სავალი გზის კეთილმოწყობა.

სოფელ გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, მანუჩარ რობაქიძემ, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან, გოდერძი თურქაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სამშენებლო სამუშაოები ადგილზე მოინახულა, სადაც დეტალურად გაეცნო პროექტის მიმდინარეობას და შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ ისაუბრა.

„სოფელ გოგნში, მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. აქტიურ ფაზაშია ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გვერდულებისა და საყრდენი კედლის მოწყობა, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება და გადაადგილება უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახდება. გზის სამშენებლო სამუშაოებს, რგფ-ისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მეკა" ახორციელებს"—განაცხადა მანუჩარ რობაქიძემ.

დღის განმავლობაში მერის მოადგილემ, გოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, დაგეგმილი სამუშაოებიც მოინახულა. ადგილობრივების მოთხოვნით, გზის რთულ მონაკვეთზე, კერძოდ, ხორხის უბანში, არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს.

გზის სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „უნივერსალ ჯორჯია" ახორციელებს, რომლის ღირებულებაც 16 000 ლარია.

„გაიღე სისხლი და გადაარჩინე სიცოცხლე!"

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, შპს „იმერმედი" იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრისა და შპს „გორმედის" სამედიცინო ცენტრის სისხლის ბანკის ერთობლივი მონაწილეობით 20 და 22 ოქტომბერს 10 საათიდან 18 საათამდე თერჯოლის სპორტის სასახლეში ჩატარდა სისხლის დონორობის აქცია **„გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე"!** სისხლი ჩააბარა 100-მდე დონორმა.

„საპოვნელა" ანძების ადგილი?

ადრე, საბჭოურ პერიოდში, ე.წ. გამყრელიძეების გორაზე აშენებული მოსწავლე-ახალგაზრდობის დასასვენებელი ბანაკი „საპოვნელა" პიონერთა ქალაქად იყო ცნობილი. ახლა აქ აღარც ბანაკია და აღარც პიონერები, კორპუსების მარტო ნამყარევს თუ შეხვდებით, მაგრამ ამაყად არიან წამომართულნი მაღლივი ანძები, რომლებიც მოსახლეობისათვის ჯერჯერობით სანუხარს თუ წარმოადგენს. პირველი, რომელიც აქ განთავსდა „მაგთის" ანძა იყო. როგორც ცნობილია, ასეთი ზემძლავრი ანძები, დასახლებული ადგილებიდან იმ მანძილზე უნდა იყოს აღმართული, რომლითაც ადამიანების ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგება. მაგ. ჯეოსელის ანძები რაიონში მთებზეა აშენებული. იმ არეულ წლებში (1990-95) როგორც ჩანს იდროვეს „მაგთის" მამებმა (ვინ იყო მომკითხავი) და აგერ პირდაპირ შიგ ქალაქში აგვიშენეს მობილური კავშირის ზემძლავრი ანძა. რა თქმა უნდა, ამ ამბავში მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფალნი სცოდავდნენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „მაგთის" პატრონებში ვინი ოჯახის წევრები იყვნენ ძირითადი მოქმედი პირები, ასეთი დარღვევა არ გაგვკვირდება.

„მაგთის" ანძას მაღე „ბილაინის" ანძა ამოუდგა მხარში, შემდეგ კიდევ მე-3 (ვისია ვერ გეტყვით) და დაიხუნძლა ადგილი ანძებით. არის მე-4 შედარებით მცირე ზომის, მაგრამ როგორც ამბობენ იგი არ უნდა იყოს საშიში მოსახლეობისათვის. როცა ვამბობ საშიშია და სანუხარი მოსახლეობისათვის-თქო, მხედველობაში მაქვს გამოსხივება, რომელიც მედიკოსების აზრით დამანგრეველია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. იმასაც ამბობენ, რომ ყველაზე მეტი პაციენტი ონკოლოგიური დაავადებებით დედაქალაქის სამკურნალო დაწესებულებაში, სწორედ თერჯოლიდან და ზესტაფონიდან ხვდებიან (ამ დაავადებას ფერის ქარხანას აბრალებენ, რომელიც ახლა უკვე მცირე სიმძლავრით მუშაობს).

რაც ვთქვი, ამ კუთხით, ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზეა, ცალკეული მცხოვრებლების მიერ გამოთქმული ნუხილის გათვალისწინებით და არ შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ, თუმც ასეთ პატარა ქალაქში, შიგ შუაგულში ასეთი ზემძლავრი ანძები, რომ არ უნდა იყოს ამას რა საბუთი უნდა. საჭიროა მონეულმა კომპეტენტურმა სპეციალისტებმა, გაზომონ და შეისწავლონ არის თუ არა ანძების გამოსხივება საშიში მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის. ვიმედოვნებთ იმასაც, რომ ჩვენი ნათქვამი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ი. ერაძე

ბავშვები, კორონავირუსის პანდემია და ჩვენ—უფროსები...

მეორე წელია ახალ რეალობაში ცხოვრობს მთელი მსოფლიოს მოსახლეობა. რეალობა კი, სამწუხაროდ, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადის. უკვე გარდაცვლილია 4 713 925 ადამიანი. შეიძლება ითქვას სამყარო შეიცვალა და დააჩოქა კოვიდ-ეპიდემიამ. საქართველოში, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ წალკოტში მას ყოველდღიურად 70-80 ადამიანის სიცოცხლე ეწირება. დიახ, პანდემია არას დაგიდევთ ჩვენს მცირერიცხოვნობას!

არავინ უწყის როდის დაუბრუნდება კაცობრიობა ჩვეული რეჟიმით ცხოვრების ეტაპს, ანუ პანდემიის გარეშე ცხოვრებას... ალბათ უფრო პანდემიასთან ერთად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ, რადგან მის საბოლოოდ დამარცხებაზე საუბარი ნაადრევია.

როგორც მსოფლიო ჯანდაცვის და ქვეყნის იმუნოლოგები იუწყებიან პანდემიის დამარცხების გზა, კოვიდრეგულაციების დაცვასთან ერთად, საყოველთაო იმუნიზაციაზე გადის და აქ უკვე რისკჯგუფები ანუ ასაკობრივი პრიორიტეტები თითქმის მინიმუმამდეა შემცირებული. მსოფლიოს რიგმა ქვეყნებმა უკვე დაიწყეს ბავშვების იმუნიზაციაც და იმედია მათ რიცხვს საქართველოც შეუერთდება. თუმცა, მაშინ, როცა იმუნიზაციის შესახებ ტყუილ-მართალი ერთმანეთშია არეული და სამწუხაროდ, საზოგადოება გაყოფილია იმუნიზაციის მომხრეებად და ანტივაქსერებად, ძნელია ერთი ჭეშმარიტება ირწმუნოს ყველამ. ამ რეალობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ისინიც კი, ვისაც მოეთხოვება მაგალითის მიმცემი იყოს, ვაქცინაციაზე თავს იკავებს. არადა როგორი დამთრგუნველია ყოველდღიურად გარდაცვლილთა მზარდი მაჩვენებელი!!!

კორონავირუსის პანდემიამ და მისი გავრცელების პრევენციულმა ზომებმა შეცვალეს და დაარღვიეს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების ჩვეული რიტმი და მათ შორის უდიდესი დაღი დაასვა ბავშვებს, განათლების სფეროს, ანუ ძირეულად შეცვალა ბავშვთა სწავლა-აღზრდის ტრადიციული ხელმისაწვდომობა.

15 სექტემბერს მოსწავლეებისათვის ისევ გამოკეტილ სკოლებში დაიწყო ახალი 2021-2022 სასწავლო წელი. ვიმედოვნებთ, დროებითია ეს, როცა აღარ მოუხმობს მოსწავლეებს სექტემბრის, სასწავლო წლის დაწყების ზარი, არადა სწავლის დაწყების საზეიმო წუთები ხომ საოცნებოდ ჰქონდა გამხდარი თითოეულს... შეხვედრები მეგობრებთან, პედაგოგებთან, ეს ყველაფერი როგორ ბედნიერს ხდიდა მათ... გარდა იმისა, რომ დისტანციური სწავლება დიდი ვერაფერი შედეგის მომტანია განათლების მისაღებად, ამასთან ყველა მოსწავლეს მასზე ხელიც არ მიუწვდება, მეორეც, საკლასო ოთახში ჩატარებულ გაკვეთილზეც არ არის ადვილი პედაგოგისათვის ყველა მოსწავლის ყურადღების მობილიზება სასწავლო პროცესში მათ ჩასართავად, არა თუ სახლებიდან, სადაც ხშირად მშობელსაც არ აქვს საშუალება გვერდით მიუჯდეს შვილს, ანდა იმ შემთხვევაში რა ხდება, როცა ოჯახში 2-3 ან მეტი ბავშვი „სწავლობს“ დისტანციურად?

დასანანია, რომ ყველაფერი ვერ გაკეთდა იმისათვის, მოსწავლეებს საკლასო ოთახებში, უსაფრთხოდ დაეწყოთ სწავლა... იმედია 4 ოქტომბერი იქნება უამრავი მოსწავლისათვის ოცნების ახდენის დღე... თორემ ბავშვების ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევამ გარდა განათლების სათანადოდ ვერ მიღებისა, სხვა უამრავი თავსატეხი გააჩინა. მან ბავშვების უმეტესობაში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შფოთვა და გაურკვევლობა გამოიწვია. ყველა ასაკის ბავშვი სხვადასხვა გზებით გამოხატავს და პასუხობს არსებულ სიტუაციას. ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვებს მშობლების და უფროსების სიყვარული და მხარდაჭერა სჭირდებათ. ბავშვი მაშინაა ბედნიერი, როცა იმას აკეთებს რაც სიამოვნებს, როცა მას სიყვარულით ექცევიან ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში... დღეს კი ისინი ყველასგან და ყველაფრისგან მოწყვეტილი არიან.

სამწუხაროდ, ოჯახების უმეტესობა ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდის, რასაც პანდემიამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ოჯახში უფროსებს თანატოლებს მოწყვეტილ მოზარდს ამ შემთხვევაშიც, შესაძლებელია, იგივე ფსიქიკური პრობლემები დაემართოს... ირგვლივ პანდემია და სიკვდილის თარეში, რაც ყველა ოჯახისათვის მეტ-ნაკლებად მტკივნეულია, ყოველივე ეს კი განსაკუთრებით ბავშვებში თავის მძიმე კვალს ტოვებს.

გამოკეტილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პირობებში ჩვენი პატარები ველარ ღებულობენ აღზრდისა და სწავლის იმ შეუცვლელ „გაკვეთილებს“, რასაც თითოეული ეს დაწესებულება მათთვის აკეთებდა. როგორ წარმოგიდგენიათ დისტანციური აღზრდა საბავშვო ბაღში, ან პირველკლასელი დისტანციურ გაკვეთილზე?

რა გულსატკენია, რომ ჩვენს მომავალ თაობას, რომლებიც დღეს, პანდემიის გამო, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა „დაკარგული თაობა“ დაერქვას. არ უნდა დავუშვათ, რომ ეს მოხდეს... ამისათვის კი იმუნიზაცია და რეგულაციების დაცვაა მნიშვნელოვანი. უფროსებმა, მშობლებმა, აღმზრდელებმა, პედაგოგებმა, საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებები ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებდეს, რომ საფრთხე არ შეექმნათ ბავშვებს, მათ სწავლა-აღზრდას, ჯანმრთელობას და მომავალს...

მზია ცქიფურიშვილი

სოფლის ამბულატორიებში ვაქცინაცია გრძელდება

ჩხარის საექიმო ამბულატორიაში (ექიმი და გამგე გია სიმონგულაშვილი) კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი სრული მზადყოფნის პირობებში დაიწყო. გადამზადდნენ ექთნები: ლალი ქურციკიძე და შორენა ისაკაძე. მოხდა მოსახლეობის ინფორმირება, ამ მიმართულებით ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუდმივ რეჟიმში ტარდება. ბატონი გიას თქმით—ხალხმა ირწმუნა ვაქცინაციის აუცილებლობა, მაგრამ აცრის ტემპით კმაყოფილი არ არის, მეტის სურვილი აქვს, რადგან მოსახლეობის ნახევარზე მეტი ასაცრელია, ბევრმა კოვიდი უკვე გადაიტანა, მაგრამ მათი ვაქცინაცია აუცილებელია და ამ კუთხით ამბულატორიაში ბევრს მუშაობენ. „ახლახან ერთი დავასაფლავეთ, ერთიც გარდაცვლილია“—ო თქვა და ხმაში სევდა შეეპარა. ვაქცინაცია ჩინური ვაქცინით მიმდინარეობს და რაიმე გართულება არ ჰქონიათ, კარგი მაგალითი მისცა მოსახლეობას სოფლის წარმომადგენელმა და მისმა ოჯახის წევრებმა, ისინი ხალხს აცრის აუცილებლობისაკენ მოუწოდებენ.

2021 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით ჩხარის ამბულატორიაში აიცრა 240 ადამიანი.

• • •

ზედა სიმონეთის საექიმო ამბულატორიაში (გამგე და ექიმი იამზე ფორჟოლიანი) ისე, როგორც ყველა სხვა ამბულატორიაში ჩინურ ვაქცინას იყენებენ, რადგან ამ ვაქცინის შენახვის პირობებია შექმნილი. ექთანი ლელა გიორგაძე გადამზადებულია, ქალბატონი იამზე აცრის მსურველების გაზრდის მოლოდინშია, ტემპი არასაკმარისად მიაჩნია. არც ერთი ადამიანი აუცრელი! ასეთია სურვილი. ზუსტდება სხვადასხვა დროს აცრილთა რაოდენობა. ექიმის თქმით ვაქცინაციაზე უარს არავინ ამბობს, მაგრამ გადაწყვეტილებას—ჩაიტარონ ვაქცინაცია ძნელად იღებს მოსახლეობა. იგი კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის, ბატონ ზვიად ბაზაძის დახმარებით, რომელიც ეხმარება ხალხთან მუშაობაში. იმ ადამიანებს, რომლებსაც აცრის სურვილი აქვთ, მაგრამ უჭირთ ამბულატორიაში მისვლა, მათ ბინაზე აცრას ჩაუტარებენ. სოფლის ამბულატორიაში პირველებმა აიცრეს პედაგოგმა ნანა მინდიაშვილმა, ზაირა აბულაძემ, რომლებიც ყველას აცრისკენ მოუწოდებენ. 2021 წლის მდგომარეობით ზედა სიმონეთის ამბულატორიაში სულ 21 ოქტომბრის მდგომარეობით აცრილია 220 ადამიანი.

ჟუჟუნა ცხადაძე

შედეგები შეჯამდა და იგი საბოლოოა...

მუნიციპალიტეტის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიამ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს შეაჯამა.

თბილი, წყნარი და მშვიდი შემოდგომის ამ დღეს ნამდვილად არ შეეფერებოდა ნებისმიერი ხმაური, მითუმეტეს აყალ-მაყალი, ჩხუბი თუ გაწევ-გამოწევა, თუნდაც რაღაც სახის აქცია—პროტესტი...

ასეც მოხდა... 16 ოქტომბერს, როცა თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიისაკენ შემაჯამებელ სხდომაზე დასასწრებად ავიღეთ გეზი, ყურადღებით გავიარეთ ქალაქ თერჯოლის ცენტრი ოთხი ძმის ქუჩიდან ვიდრე საარჩევნო ადმინისტრაციამდე, მაგრამ რაიმე არასასურველ პროცესზე მიმანიშნებელი ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა არაფერს... ეს კარგად გვენიშნა, აღვიქვით იმ ფაქტად, რომ თერჯოლაში არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ გაკეთებული შენიშვნები თუ საჩივრები არც მრავალად ყოფილა და არც განუხილავი და პასუხგაუცემელი დაუტოვებია საარჩევნო ადმინისტრაციას ანუ უფრო მოკლედ და კონკრეტულად—ყველა მხარემ ლეგიტიმურად ცნო ამომრჩეველთა მიერ მათთვის მიცემული ხმების რაოდენობა.

თავად შემაჯამებელი სხდომა, როგორც სრულიად საქართველოში, ისე თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიაში იმ შაბათი დღის 12 საათზე დაიწყო.

კომისიის თავმჯდომარემ **ნაზი სირაძემ** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, მადლობა გადაუხადა საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებს, საოლქო საარჩევნო კომისიის ტექნიკურ -დამხმარე თანამშრომლებს, საუბნო საარჩევნო კომისიების სრულ შემადგენლობას თავდაუზოგავი დაუღალავი შრომისათვის და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. ასევე არჩევნებში ჩართულ მხარეებს, საარჩევნო პროცესში აქტიური ჩართულობისათვის და ობიექტური შეფასებებისათვის.

მან ასევე მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის, კერძოდ, საარჩევნო უბნების განთავსების შენობების მოწესრიგებაში ხელის შეწყობისათვის.

კომისიის თავმჯდომარემ მადლიერებით აღნიშნა კერძო კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას" განეული ტექნიკური დახმარების თაობაზე და გაზეთ „თერჯოლას" კანონშესაბამისი და მაღალპროფესიული ჩართულობისათვის საარჩევნო კამპანიაში.

კომისიის თავმჯდომარემ პირადად სრულად შეაჯამა საარჩევნო პერიოდი, რომელიც მისივე თქმით იყო ძალიან მშვიდი და გაჭყირვალე. „კენჭისყრის დღემდე საოლქო საარჩევნო კომისიაში არ დარეგისტრირებულა არცერთი საჩივარი, ხოლო კენჭისყრის დღეს შემოტანილ იქნა 2 საჩივარი, რომელთაგანაც 1 ეხებოდა N49.19 კომისიის წევრის სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას, რომელმაც გასცა ერთი სახეობის 2 ბიულეტენი. საჩივრის ავტორი ითხოვდა დისციპლინურ პასუხისმგებლობას. საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან კომისიის წევრის მიერ დარღვევისთანავე დაწერილ იქნა ახსნა-განმარტება.

მეორე ეხებოდა შემაჯამებელ ოქმში მონაცემების არასწორად მითითებას. კერძოდ, N49.10 საუბნო კომისიის პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში ევროპული საქართველოს მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა ნაცვლად 16-ისა მითითებულ იქნა 6. აღნიშნულთან დაკავშირებით საუბნო კომისიის მდივნის მიერ დაუყოვნებლივ დაწერილ იქნა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც გადაღლილობის გამო დაუშვა შეცდომა და არასწორად მიუთითა მონაცემი.

მოითხოვნილ იქნა უბნის გადათვლა - საჩივარი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად, რადგან აღნიშნული უბნის გახსნა მოხდა შერჩევითი შემთხვევით გადასათვლელ უბნების გამოვლენის შედეგად.

ცესკოს მიერ მიღებული N40 / 2021 დადგენილების შესაბამისად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საოლქო კომისიის სხდომაზე შერჩეულ იქნა 5 საარჩევნო უბანი: N08, N10, N15, N16 და N30.

N08 და N16 უბნების შემაჯამებელ ოქმში ცვლილება არ განხორციელებულა.

N10 საუბნო საარჩევნო კომისიის საუბნო შემაჯამებელ ოქმში (საუბნო პროპორციული) შეცვლილი იქნა მონაცემი, კერძოდ საარჩევნო სუბიექტის N2 „ევროპულ საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის" მიღებულ ხმათა რაოდენობა ნაცვლად 6-ისა მიეთითა 16.

N15 საუბნო საარჩევნო კომისიის საუბნო პროპორციული ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ნაცვლად 28 -ისა მიეთითა 26.

საუბნო მაჟორიტარულში (N5 გელა გამეზარდაშვილი) მიღებულ ხმათა რაოდენობა ნაცვლად 154-ისა მიეთითა155.

N41 დავით გოგბერაშვილის მიღებულ ხმათა რაოდენობა ნაცვლად 381-ისა მიეთითა 380.

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ნაცვლად 31-ისა მითითებულ იქნა 29. ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ცვლილება გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ საუბნო კომისიამ კაბინაში ამომრჩეველის მიერ დატოვებული ბიულეტენები არასწორად დაუშატა ბათილ ბიულეტენებს.

N30 საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციულ ოქმში(N41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო") მიღებულ ხმათა რაოდენობა 252 -ის ნაცვლად მითითებულ იქნა 251.

9 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე, საკუთარი ინიციატივით 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად გადათვლილ იქნა 4 საარჩევნო უბნის N17 (მაჟორიტარული), N18 (მერი), N21 (მაჟორიტარული) და N25 (მერი) ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, რის შედეგადაც დადგინდა რომ:

N17 და N25 საუბნო საარჩევნო კომისიის ბათილი ბიულეტენების მონაცემები უცვლელი დარჩა.

N18 საუბნო კომისიის მერის შედეგების შემაჯამებელ ოქმში ბათილი ბიულეტენების რაოდენობა შეიცვალა ნაცვლად 61-ისა მითითებულ იქნა 60 და N41 ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს კანდიდატის, ლაშა გოგიაშვილის მიღებულ ხმათა რაოდენობა ნაცვლად 366-ისა მითითებულ იქნა 367.

N21 საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ნაცვლად 48-ისა მითითებულ იქნა 47"—განუცხადა კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, რომლებმაც როგორც აღვნიშნეთ ერთხმად დაამტკიცეს არჩევნების საბოლოო შედეგები პროპორციული, ისე მერისა და მაჟორიტარული კანდიდატების ნანილში.

არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის საოლქო პროპორციულის მონაცემები:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 33090
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 20423
3. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 813
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 19595

N	პარტიის (ბლოკის) დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1	„ეროვნულ ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი	386	1.97%	
2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის"	1722	8.79%	2
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	5886	30.04%	7
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"	254	1.30%	
9	„ლელო"	495	2.53%	
10.	„ძალა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია"	303	1.55%	
25.	„გაბარია - საქართველოსთვის"	1053	5.37%	1
36.	„გირჩი"	127	0.65%	
37	„თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)"	26	0.13%	
41.	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	9197	46.94%	10
45.	„ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება"	146	0.75%	

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 33090
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 20423
3. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 1262
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 19148

N41 ლაშა გოგიაშვილი -10313

N51 ბეჟან ბუცხრიკიძე - 8835

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია—**ლაშა გოგიაშვილი**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

N2. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის"

1. ლევანი კვატაია
2. რუსუდან კოვზირიძე

N5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

1. კახა ბუცხრიკიძე
2. რამინი რობაქიძე
3. თამარ ახვლედიანი
4. ამბერკი დოლაკიძე
5. დავითი ცხადაძე
6. ნატალია ასათიანი
7. კობა კირკიტაძე

N25 „გაბარია - საქართველოსთვის"

1. ივანე ჩუბინიძე

N41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

1. გიორგი ბარათაშვილი
2. ამირან ვერულაშვილი
3. ნინო ჩხიკვაძე
4. თემური ქოჩიაშვილი
5. ლაშა გურგენიძე
6. იზა მაგრაქველიძე
7. ბიძინა ბუცხრიკიძე
8. კობა კაცაძე
9. ნინო მახათაძე
10. ომარი ჯიბვაშვილი

შედეგები შეჯამდა და იგი საბოლოოა...

N49.01 თერჯოლის ქალაქის ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 4787
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 2868
3. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 102
4 საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 2753

N1 ხათუნა კაკაბაძე - 27
N5 კობა კირკიტაძე - 1082
N8 ხვიჩა ნკეპლაძე - 41
N25 ტარიელ ღილუაშვილი -198
N41 ელისო მურადაშვილი - 1405
N49.01. თერჯოლის ქალაქის ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარად-საკრებულოს წევრად არჩეულია **ელისო მურადაშვილი**

N49.02 გოდოგანი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები:

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 1627
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 936
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 52
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 883

N1 იპოლიტე ამბროლაძე - 145
N5 ამირან მაკარიძე - 230
N8 მირზა ხუჯაძე -56
N41 გრიგოლ გიორგაძე- 452
N49.02 მაჟორიტარად არჩეულია
გრიგოლ გიორგაძე

N49.03 კვახჭირი, ჭოგნარი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები:

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 2772
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 1626
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 102
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 1523

N5 მერაბი ბასილაძე-798
N41 კახაბერ ნივნივაძე-725
N49.03 მაჟორიტარად არჩეულია **მერაბი ბასილაძე**

N49.04 ზედა სიმონეთი, ნახშირღელე, ქვედა სიმონეთი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები:

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 4593
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 2693
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 116
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 2660

N1მალხაზი გვენეტაძე- 110
N2 როლანდი მესხი - 1125
N8 ბადრი ქარქაშაძე- 64
N25 სულიკო ზარნაძე-142
N41 გიორგი ქასრაშვილი- 1119
49.04 მაჟორიტარად არჩეულია **როლანდი მესხი**

N49.05 ბარდუბანი, ენერი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები:

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 2652
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა:1723
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 66
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობ:1652

N5 ფრიდონ გვენეტაძე -457
N41 გოჩა ვერულაშვილი-767
N52 მამული კოვზირიძე - 428
N49.05 მაჟორიტარად არჩეულია
გოჩა ვერულაშვილი

N49.06 ახალი თერჯოლა, სიქთარვა ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 2995
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა:1980
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 80
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 1896

N1 გია გენაძე -67
N2 მიხეილ კვატაია -698
N8 გია ჩხეიძე - 19
N25 ბესიკ ცხადაძე-206
N37 სანდრო ლეკვეიშვილი- 6
N41 ჯემალი ისაკაძე - 900
N49.06 მაჟორიტარად არჩეულია **ჯემალი ისაკაძე**

N49.07 რუფოთი, ღვანკითი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები.

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3825
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 2385
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 119
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 2260

N1 გიორგი იაშვილი- 162
N2 რუსუდან კოვზირიძე- 659
N25 კახაბერ რობაქიძე- 140
N41 შალვა ჭანკვეტაძე- 1299
N49.07 მაჟორიტარად არჩეულია
შალვა ჭანკვეტაძე

N49.08 ალისუბანი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები.

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 2058
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 1441
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 65
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 1370

N2 ტარიელ ფანჩულიძე- 601
N8 ქეთევანი მემანიშვილი -17
N25 დავით ჯაბიძე -65
N41 ბადრი ბუცხრიკიძე- 687
N49.08 მაჟორიტარად არჩეულია
ბადრი ბუცხრიკიძე

N49.09 ზედა საზანო, თუზი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები.

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 4698
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 2748
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 77
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 2665

N1 პეტრე ჩიქვილაძე - 107
N5 გელა გამეზარდაშვილი - 638
N8 თამუნა გიორგაძე- 46
N9 ნათია უფლისაშვილი- 129
N25 მიხეილ ჩუბინიძე - 306
N41 დავითი გოგბერაშვილი - 1439
N49.09 მაჟორიტარად არჩეულია **დავითი გოგბერაშვილი**

N49.10 გოგნი ჩხარი ძევრი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის მონაცემები.

1.ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3083
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 1952
3.ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 66
4. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა: 1884

N5 კონსტანტინე ზარნაძე- 551
N8 გრიგოლ არაბიძე - 28
N25 ბუდუ ბუიძე-154
N41 მანუჩარი ფანჩულიძე-1054
N53 ლია რობაქიძე -97
N49.10 მაჟორიტარად არჩეულია
მანუჩარი ფანჩულიძე

ცოდნა ძალაა

„თქვენი შვილი, სამწუხაროდ, გონებრივად ჩამორჩენილია..." - მასწავლებლის წერილი და დედის პასუხი:

ერთ დღეს ერთი პატარა ბიჭი სკოლიდან სახლში დროზე ადრე დაბრუნდა. ოთახში შესულმა დედას კონვერტი გაუწოდა, რომელშიც მასწავლებლის მიერ გამოტანებული ნერილი იდო, თან სთხოვა, ხმამაღლა წაეკითხა, რას სნერდა მასწავლებელი.

დედამ ნერილი კონვერტიდან ამოიღო, გაშალა, რამდენიმე წამი თვალცრემლიანი იდგა, შემდეგ კი კითხვა დაიწყო:

„თქვენი შვილი ნამდვილი გენიოსია, ჩვენს სკოლას არ აქვს საკმარისი რესურსები და არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები, რომლებიც ბავშვს სათანადო განათლებას მისცემენ, ამიტომ გირჩევთ, ბიჭს სახლში გააგრძელებინოთ სწავლა".

ამ დღიდან დიდი ხნის შემ-

დეგ, როცა დედა გარდაცვლილი იყო, უკვე დაკაცებული ის პატარა ბიჭი ოჯახის არქივის თვალიერებისას პატარა კონვერტს წაწყდა. კონვერტი მაშინვე ეცნო, გახსნა და შიგ თავისი ბავშვობისდროინდელი სკოლის მასწავლებლის ნერილი აღმოაჩინა, რომელშიც ენერა:

„თქვენი შვილი, სამწუხაროდ, გონებრივად ჩამორჩენილია, ჩვენ არ შეგვიძლია მას ვასწავლოთ სასკოლო საგნები, ამიტომ ჩვენი რეკომენდაციაა, ბიჭს სახლში ინდივიდუალურად და შესაძლებლობის მიხედვით მისცეთ განათლება".

უკვე დაკაცებულ იმ პატარა ბიჭს თვალები ცრემლით აევსო, ყელში ბურთი გაეჭედა. შემდეგ კი აკანკალებული ხელით კალამი აიღო და თავის დღიურში ჩანანერი გააკეთა:

„თომას ალვა ედისონი იყო გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი, მაგრამ მას ჰყავდა არაჩვეულებრივი, გმირი დედა, რომლის ძალისხმევით, შთაგონებითა და რწმენით მსოფლიომ შეიძინა დიდი მეცნიერი, მეწარმე, გამომგონებელი და საზოგადო მოღვაწე. დედის გმირობის წყალობით, ეს ბიჭი თავისი საუკუნის დიდ გენიოსად იქცა".

დედა - ეს არის რწმენა, სიმშვიდის კალაპოტი, ყველაზე ნათელი შუქურა ბნელ ოკეანეში...

დედა - ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია, ყველა და ყველაფერი შეცვალოს, მაგრამ მას ვერავინ ვერასდროს შეცვლის.

გიყვარდეთ დაფასეთ და გახსოვდეთ დედები!

სწავლა-სასკოლო სივრცეში

2021-2022 სასწავლო წელი ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გამო ჩვენც ონლაინ დავიწყეთ. დისტანციური სწავლების გამოცდილებამ შედარებით გაგვიიოლა საქმე. მხოლოდ პროცენტულად მოსწავლეთა მცირე ნაწილს შეექმნა პრობლემა ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის წვდომის მხრივ.

მიუხედავად ამისა, მოუთმენლად ველოდებოდით სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელებას.

და აი, ეს დღეც დადგა... 4 ოქტომბერს ისევ გამოცოცხლდა სკოლის კარმიდამო. სასკოლო სივრცეში განახლდა სასწავლო პროცესი.

სკოლის დირექციამ გარკვეული ღონისძიებები განახორციელა covid-19-ის პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ, როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, ასევე სკოლაში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით. სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო. გათვალისწინებულია ყველა რეგულაცია, ზედმინევნით არის დაცული სანიტ-ჰიგიენური ნორმები და სამინისტროს რეკომენდაციები.

სკოლა აღჭურვილია ვირუსის პრევენციისთვის საჭირო რესურსების მარაგით. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია სპეციალური დეზობარიერი. სკოლის ორივე სართულზე ყველა საკლასო ოთახთან დამაგრებულია ხელის სანიტაიზერები. სანიტაიზერებით აღჭურვილია აგრეთვე სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საიზოლაციო ოთახი. სკოლის სველი წერტილები აკმაყოფილებს სანიტ-ჰიგიენურ ნორმებს.

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში. დროებით მეორე ცვლაში მეზობელი სოფლის,

რუფოთის საჯარო სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესს, რადგან მათ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მეორე ცვლის დაწყებამდე (1სთ. ინტერვალი) ხდება საკლასო ოთახების სველი წერტილების წესრიგში მოყვანა.

სწავლის დაწყებამდე სკოლის ყველა მოსწავლესა და თანამშრომელს უტარდება თერმოსკრინინგი.

საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სკოლის პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა გადის საავადებულო covid-19 -ის ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენის მიზნით.

ასევე აქტიურად ჩაერთო სკოლის პერსონალი ვაქცინაციის პროცესში. ბოლო მონაცემებით სულ ვაქცინირებულია 70%.

სკოლის დირექცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს, ეს არის ჩვენთვის პრიორიტეტი.

დავით კუტივაძე,
ალისუბნის თემის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

---

4 ოქტომბერს სკოლების უმრავლესობამ სასწავლო პროცესი განაახლა ტრადიციულ რეჟიმში, მათ შორის ჩვენმა, ნახშირლელის საჯარო სკოლამაც. სასიხარულოა, რომ თანდათან იზრდება ბავშვთა რაოდენობა ჩვენს სკოლაში, მეხუთე სასწავლო წელია 25 ბავშვზე ნაკლები სკოლას არ მიულია, დღეისათვის ჩვენს სკოლას 221 მოსწავლე ჰყავს და ამ მონაცემებით რაიონში პირველ ხუთეულში ვიმყოფებით. მინდა გითხრათ, რომ ძალიან საინტერესო და შრომატევადი სამუშაოები უძღოდა წინ სასწავლო პროცესის დაწყებას, სკოლაში შეიქმნა ყველა პირობა, რათა სასწავლო პროცესი განახლებულიყო ტრადიციულ რეჟიმში. პირველ რიგში სკოლის მთლიან პერიმეტრზე ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, სოფელში გაკეთდა მოკვლევა თერჯოლის ეპიდ ცენტრის ხელმძღვანელ თამარ არჯევანიძესთან ერთად, დადგენილი იქნა არსებული კოვიდ რისკები, რაც დაგვეხმარა განგვესაზღვრა სოფელში კოვიდ რისკების პროცენტული მაჩვენებელი. მოგახსენებთ, რომ სკოლაში გვაქვს ყველა სახის სადეზინფექციო საშუალებათა მარაგი, დაცულია სანჰიგიენო, კონტროლდება სკოლის ყველა შემოსასვლელი შესაბამისი პირების მიერ, მონესრიგებულია საპირფარეშო, კანალიზაციისა და წყლის სისტემა.

რაც შეეხება კოვიდ აცრებს, ჩემი სკოლის თანამშრომელთა უმრავლესობა აცრილია, მაგრამ ეს არაა საკმარისი რათა სკოლაში შეიქმნას ეპიდუსაფრთხო გარემო, მინდა აქვე ვუთხრა ყველა თანამშრომელს და ასევე განსაკუთრებით მოსწავლეთა მშობლებს, რომ მხოლოდ პედაგოგთა აცრა არაა საკმარისი, რათა თავიდან ავიცილოთ ეპიდრისკები, მოგინდოდეთ მინიმუმ ვაკონტროლოდ საკუთარი ჯანმრთელობა შესაბამისი გატესტვის საფუძველზე, ასევე მიმაჩნია გაიზარდოს ვაქცინაციის ტემპი ყველას ჩართულობით, ეს იქნება სამედიცინო დარგის მუშაკი, პედაგოგი თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, უნდა მივიტანოთ ინფორმაცია თითოეულ ადამიანამდე, რათა დროულად ჩაიტარონ აცრები საკუთარი და სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.

მოგეხსენებათ ონლაინ სწავლება ძალიან ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული, ყველა ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს მონესრიგებული ტექნოლოგიები და ვერ სარგებლობს ინტერნეტ სივრცით, მიუხედავად მასწავლებელთა განუსაზღვრელი მრომისა, დისტანციური სწავლება ისევ ნაკლებად ეფექტური რჩება...

მინდა გითხრათ, რომ დიდია განათლების მესვეურთა როლი პედაგოგთა

ონლაინ სწავლებისათვის გადამზადების საკითხში, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალაქ თერჯოლის რესურსცენტრის შესანიშნავი გუნდის (ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე) თანადგომა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში.

და ბოლოს მინდა ჯანმრთელობა, მშვიდობა და წარმატება გისურვოთ ყველას ამ მეტად მნიშვნელოვან ბრძოლაში, ჩვენ ერთად დავამარცხებთ კოვიდს...

ვაჟა გუილლიუვილი,
ნახშირლელის საჯარო სკოლის დირექტორი

საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყო

საქართველოში ერთი წლის განმავლობაში 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე საბავშვო ბაგა-ბაღები არ ფუნქციონირებდა. სასწავლო პროცესი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა. მიმდინარე წლის მარტის თვიდან განახლდა სასწავლო პროცესი. ზაფხულის არდადეგების შემდგომ რთული ეპიდვითარების გამო კვლავ გადაიდო. 18 ოქტომბერს კვლავ განახლდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ა(ა)ი3 „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ის საბავშვო ბაგა-ბაღებში. სასწავლო პროცესი განახლდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სკოლამდელი სააღმზრდელო დანესებულებებისათვის რეკომენდაციების შესაბამისად. ბაღების შიდა პერიმეტრი მოწყობილია რეგულაციების შესაბამისად. აკრძალულია მშობლების და გარეშე პირთა შესვლა საბავშვო ბაღებში, აკრძალულია ღონისძიებები. ბაღები სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით აღჭურვილია.

სისტემაში დასაქმებულია 475 ადამიანი, მათ შორის 92 აღმზრდელ-პედაგოგი და სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ზრუნავენ 54 ასაკობრივ ჯგუფში ჩარიცხულ 1057 აღსაზრდელის აღზრდა-განვითარებაზე და მათ უსაფრთხოებაზე.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს პედაგოგები ინყებენ ახალი სახელმძღვანელოებით, რომელიც შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს და ილიას სახელმნიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მიერ. აღნიშნული კურიკულუმი დაეხმარება პედაგოგებს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში და ბავშვის შეფასებაში 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობისას. აღნიშნული კურიკულუმის დასანერგად ყველა პედაგოგი ჩართული იყო სამინისტროს მიერ დანერგილ უფასო „ვებინარებში. 5-6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში კი პედაგოგები „სასკოლო მზაობის" კურიკულუმით ხელმძღვანელობენ.

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი უკვე რამდენიმე წელია საქართველოს სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაციის (Civitas Georgica) ნევრია. ამჟამად ამ ასოციაციის და პოლონურ არასამთავრობო ორგანიზაცია EDUKATOR-თან ერთად ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიწყო სამწლიანი პროექტი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტოს დაფინანსებით. საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალისათვის ჩატარდება ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები. თერჯოლის N1 და N2 საბავშვო ბაგა-ბაღებში მოენყობა რესურს-ოთახები, გადამზადდებიან აღმზრდელები, პედაგოგები, მეთოდისტები. შეფასდება ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის შენობების მდგომარეობა. წლის დასასრულამდე ასევე იგეგმება აღმზრდელ-პედაგოგების ტრენინგ მოდული შესაბამისად (20 პედაგოგი).

საბავშვო ბაგა-ბაღების ბიუჯეტმა შეადგინა 2 950 000 ლარი, მათ შორის საბელფასო ფონდი შეადგენს 2 127 900 ლარს, სხვა საქონელზე და მომსახურეობაზე იხარჯება 579 760 ლარი, მათ შორის კვებაზე 385 907 ლარი. სექტემბრის თვეში გადადებული სასწავლო პროცესის გამო 1057 აღსაზრდელზე გაიცა სასურსათო პაკეტები. ერთი სასურსათო პაკეტი 49 ლარის ღირებულების.

კაპიტალურმა ხარჯმა შეადგინა 242 340 ლარი, მათ შორის 82 440 ლარი დაიხარჯა საბავშვო ბაგა-ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოებზე. თერჯოლის N1, N2, გოდოგნის, 26 მაისის საბავშვო ბაღებში. 159 900 ლარი კი დაიხარჯა ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში ტექნიკური უსაფრთხოებიდან გამომდინარე ელექტროქურების შესაძენად რომელიც განკუთვნილია კვების პროდუქტების მოსამზადებლად.

თერჯოლის №3 და მეტლახის საბავშვო ბაგა-ბაღების შენობები ავარიული მდგომარეობის გამო ბაღები განთავსდა ნაქირავებ შენობებში. დაგეგმილი და გადანყვეტილია №3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა თანამედროვე სტანდარტების 120 აღსაზრდელზე. ასევე მომავალში დაიგეგმება მეტლახის საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა. საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა 100 ბავშვზე უკვე დანყებულია.

იმედია რეკომენდაციების სრული დაცვით და კონტროლით გაგრძელდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რადგან ერთნლიანმა ბაღების გაჩერებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სისტემა. ონლაინ სწავლების მიუხედავად ბავშვთა ჩართულობა იყო დაბალი. 2-6 წლამდე ბავშვთა სკოლამდელი განათლება და სასკოლო მზაობა კი განაპირობებს მათ წარმატებულობას მომავალში, რადგან სწორედ ბავშვობის პერიოდია გაძლიერებული განვითარების, ცვლილებების და სწავლების პერიოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი სკოლამდელი აღზრდის დანესებულებებში, რაც უახლოეს პერიოდში დადებითად უნდა გადაწყდეს.

მაია თორთლაძე,
სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი

ვლადიმერ (ლადო) კეპულაძე: მეომრისთვის ომი არასოდეს მთავრდება...

ვლადიმერ (ლადო) კეპულაძე... სამედიცინო ინსტიტუტის 21 წლის სტუდენტი იყო, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ჩაება. საომარი მოქმედებების დაწყებიდან დასასრულამდე არ მიუტოვებია ბრძოლის ველი. სოხუმის დაცემის შემდეგ, კოდორს იცავდა. დღეს წარმატებული ექიმი და თანამედროვე სტანდარტების ერთ-ერთი წამყვანი კლინიკის, „თერჯოლამედის" დამფუძნებელია, თუმცა მიიჩნევს, რომ მებრძოლისთვის ომი მისი დამთავრებით არ სრულდება...

ბატონ ლადოსთან შეთანხმებით ვაქვეყნებთ ინტერვიუს, რომელიც მან მისცა ჟურნალისტ შორენა სიხარულიძეს და დაიბეჭდა ჟურნალში „ვეტერანი".

—ბატონო ლადო, პირველ ყოვლისა, მადლობას გადაგიხდით ინტერვიუსთვის... როგორ აღმოჩნდით სამედიცინო ინსტიტუტიდან დამოუკიდებელი საქართველოსთვის ომში?

—როდესაც 1992 წელს ომი დაიწყო, მოხალისედ წავედი და ბატალიონ „დიდგორს" შევუერთდი. გაგრის დაცემის შემდგომ, სადაც ბატალიონი, ფაქტობრივად, განადგურდა (ბატალიონში 50 კაცზე მეტი იყო და მხოლოდ 5-6 კაცი დავრჩით). მეგობრებისაგან—ლაშა ქოიავასგან, მამუკა იოსელიანისაგან შევიტყვე, რომ პირველ ბრიგადასთან დაიწყეს სამედიცინო სამსახურის ჩამოყალიბება. მეც მოვხვდი მათ რიგებში. მივედით და გავიარეთ როგორც დამატებითი სამხედრო, ისე სამედიცინო მომზადება და ნოემბრის პირველი რიცხვებიდან პირველი ბრიგადის სადესანტო–მოიერიშე ბატალიონის სანინსტრუქტორი ვიყავი. იქიდან დაიწყო ჩემი, ოფიციალური მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და, ფაქტობრივად, სოხუმის დაცემამდე და მერეც, რამდენიმე თვე, უკვე კოდორის ხეობაში ვიყავი... მაშინ რამდენიმე სერიოზული შემოტევა მოვიგერიეთ, არ დავუთმეთ მტერს და კოდორის ხეობა მაშინ გადავარჩინეთ...

—გაგრის დაცემა ახსენეთ. ვიცი, რომ აფხაზეთის ომში თითქმის ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში მონაწილეობდით, თუმცა გაგრა გამორჩეული იყო თავისი უდიდესი ტრაგიზმით... მტრის სისასტიკით... ბატონო ლადო, რა მოხდა გაგრაში? როგორია, თქვენი, როგორც ერთი მებრძოლის თვალით დანახული გაგრის ტრაგედია?

—ჩემი აზრით, გაგრის ტრაგედია იყო მოღალატეობის ტიპური მაგალითი, ასევე, არშემდგარი არმიის სინდრომის შედეგიც. ჯარი, ფატობრივად, პანიკამ მოიცვა და ამ ყველაფერმა ერთად განაპირობა გაგრის დაცემა. დღეს რომ ვაანალიზებ, ვხედავ, რომ რამდენიმე ასეული კაცით შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მტრისთის გაგრის აღება, არადა, ჩვენს ფორმირებებს პოზიციები კარგად გვექირა. მაშინ „დიდგორის" მეთაური გივი ქენქაძე გახლდათ. იგი მძიმედ დაიჭრა, ბატალიონი კი, ფაქტობრივად, განადგურდა. სულ რამდენიმე კაცი გადავრჩით... ჩვენ გაგრასთან ვიდექით, ხიდსა და პოზიციებს ვიცავდით... მოულოდნელად პანიკა ატყდა. ფაქტობრივად, ნინა ორი პოსტი მოიშალა—ერთი 3-4 კილომეტრში იყო, ბიჭვინთისკენ ერთი პატარა გზა გადის, დანარჩენი სულ კლდეა და იქიდან მტერი როგორ უნდა შემოვიდეს, არ ვიცი... მაგრამ მაინც ასე მოხდა... ალბათ, უფრო ღალატის გამო...

—თქვენი აზრით, გაგრის დაცემას რაიმე წინაპირობა ხომ არ უძღოდა, რამაც შემდგომ ეს ტრაგედია გამოიწვია?

—დიახ. იყო... გაიყვანეს ჩვენი ნაწილები—„თეთრი არწივისა" და „მხედრიონის" დიდი ნაწილი... ფაქტობრივად, მხოლოდ რამდენიმე ასეული დატოვეს... იგრძნობოდა, რომ რაღაც მზადდებოდა... მერე, მოგვიანებით გავიგე, რომ ხიდები, რომლებიც დანალმული იყო, თურმე, არ აფეთქდა. არ ვიცი, რა გითხრათ... ნამდვილად იყო დანალმული? მართლა ეცადნენ აფეთქებას? ვინ იცის!

—ალბათ, მძიმე გადასატანი იქნებოდა თქვენთვის, როგორც ექიმისთვის, დაჭრილებს რომ ვერ შველოდით...

—არც კი მინდა გახსენება... იქ დაჭრილების მიხედვის არანაირი შანსი არ არსებობდა... თითქმის ყველა ჭრილობა სიცოცხლესთან შეუთავსებელი იყო... როგორც შემდეგ გავიგეთ, გივი ქენქაძე, ჩვენი მეთაური, მძიმედ დაჭრილი, თვითონ აფხაზებს გადაუყვანიათ გუდაუთაში და იქ უმკურნალეს, მერე კი, გამოჯანმრთელებული, ბალაფშმა გადმოიყვანა...

—ისე, ცოტა გასაკვირია—გაგრის ტრაგედია ცნობილია თავისი გაუგონარი სისასტიკით ქართველ დახოცილ მეომრებს, მიცვალებულებს, საშინელი, არაადამიანური სისასტიკით მოეპყრნენ და თქვენი ბატალიონის მეთაური როგორ დაინდეს?

—იგი ევროპის ჩემპიონი იყო ჭიდაობაში და როგორც ვიცი, ბალაფშმა დაიცვა... მან მოახერხა გივის გადარჩენა.

—სოხუმისთვის ბრძოლებს როგორ გაიხსენებდით?

—როცა სოხუმისათვის ბრძოლები დაიწყო, ჩვენ, სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი, 18 სექტემბერს დამხმარე ძალად ჩავედით. ჩვენ მუდმივად ერთი პოზიცია არასოდეს გვექირა, შეიძლება, მაქსიმუმ, ერთი ან ორი დღით ვყოფილიყავით ერთ ადგილზე. როგორც სწრაფი რეაგირების ჯგუფი, ყოველთვის იქ ვიყავით, სადაც ჩვენს ქვედანაყოფებს უჭირდათ და შეტევა იყო საჭირო. ჩვენი მეთაური იყო ლევან ასათიანი—საკმაოდ გონიერი, კარგი მეთაური და კარგი მეგობარი. მასთან ბრძოლაში თავს დაცულად გრძნობდი, რადგან იცოდი, რომ არ მიგატოვებდა. მთელი ბატალიონი ისე ვიყავით მოტივირებული, რომ არც ერთი დაჭრილი ბრძოლის ველზე არ უნდა მიგვეტოვებინა. ამიტომაცაა, ალბათ, რომ 1992 წლის ნოემბრიდან ვიბრძოდით, მაგრამ სადესანტო-მოიერიშე ბატალიონს უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლი, ფაქტობრივად, არ გვყავს. 9 თვის განმავლობაში რამდენჯერმე შეივსო ბატალიონი, 500 კაცამდე იყო და ერთი დაღუპულის ნეშტიც კი არ დაგვიკარგავს.

19-ში ჩავებით ბრძოლაში. გვქონდა შეტევები კამანზე, შრომაზე, გუმისთავზე 2 პოზიცია გაარღვიეს და იქ მოგვინია ბრძოლამ. 25 სექტემბრამდე პოზიციებს ვინარჩუნებდით, ახალ რაიონში შემოსულებიც კი განვდევნეთ. მაშინ „მხედრიონის" ბიჭებიც ჩამოვიდნენ. გია ყარყარაშვილი იქ იყო, კასპის ბატალიონიც... ბოლო დღეებში, ძირითადად, 4-5 ბატალიონი იბრძოდა...

ბოლო წუთებამდე იქ ვიყავი. მომსწრე ვარ იმისა, როგორ გაიყვანეს შევარდნაძე, საკუთარი თვალით ვუყურებდი, როგორ ინვოდა სოხუმი... როცა უკვე სოხუმი აიღეს და სინოპის ხიდამდე მოაღწიეს, მაგ პერიოდში რამდენიმე საათი კელასურის ხიდთან ვიყავი... ავტომატისა და ორი მჭიდის ამარა. ბოლო დღეებში აღარც მომარაგება იყო... როცა მტერი სოხუმში შემოვიდა, დადიოდნენ და, ფაქტობრივად, ჩვენს ბიჭებზე ნადირობდნენ. ჩვენც, 5-5 კაცი ვცდილობდით, გამოსულიყავით, რადგან ჯგუფურად გამოსვლის შანსი აღარ იყო...

—თქვენ ექიმი ხართ, რა შეგრძნებაა სამხედრო ექიმისთვის, როცა ის ხედავს ბრძოლის ველზე დაჭრილ მებრძოლს და ვერ შველის?

—ეს არის ყველაზე საშინელი, ენით გამოუთქმელი შეგრძნება ექიმისთვის. როცა გულით გინდა დაეხმარო შენს თანამებრძოლს, სამშობლოს ჯარისკაცს და ხარ უძლური... ეს უიმედობა საშინლად განგრეკს... შეუძლებელია მიეხმარო, ცეცხლმოდებული ქალაქიდან ვერსად ნაიყვან, საავადმყოფომდე მივყვანის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია! გულრიფშის ან აგუძერის საავადმყოფოში თუ მოახერხებდი გადაყვანას, ისიც თუ გაგიმართლებდა და სასნაულით ტრანსპორტს იშოვიდი. სოხუმის დაცემამდე ბოლო ორი დღე იყო ყველაზე დიდი საშინელება ჩემს ცხოვრებაში, როგორც ექიმისთვის და როგორც ქართველი მეომრისთვის...

თავად ტყვიით ერთხელ ვარ დაჭრილი და ნალმის ნამსხვრევით—ორჯერ, მაგრამ საკუთარ თავს ამ დროს არ აქცევ ყურადღებას, შენი დაჭრილი თანამებრძოლისკენ მიგიწევს გული, გინდა სიკვდილს მასთან ერთად შეებრძოლო...

—სოხუმის დაცემის შემდეგ ისევე ომში, ამჯერად, კოდორის ხეობის დასაცავად წახვედით...

—თვენახევარი ვიყავი კოდორის ხეობაში და იქ მყოფმა ფორმირებებმა სამი ძალიან სერიოზული შეტევა მოვიგერიეთ. ძალიან გვეხმარებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. რომ არა ჩვენი ძალისხმევა, კოდორი მალევე დაიკარგებოდა. თუმცა, როცა მაშინდელი ხელისუფლება მიხვდა, რომ უკვე კოდორი გადარჩენილი იყო, დამატებითი ძალები გამოგზავნა და იანვრიდან უკვე შინაგანი ჯარი შემოვიდა კოდორში. შინაგანი ჯარის გარდა, იქ სხვა არანაირი ფორმირება არ უნდა ყოფილიყო. ეს წესი რომ დაეცათ, 2008 წელს კოდორი არ დაიკარგებოდა. 2008-ში კოდორის დაკარგვამ კითხვის ნიშნები გამიჩინა, როცა გავიგე, რომ ორი შეიულმფრენით გადასხმულმა დესანტმა აიღო 2008-ში კოდორი, ეს ძნელი დასაჯერებელი იყო ჩემთვის. ჩვენ მაშინაც, 90-იანებში, რუსული ბატალიონები გვიტევდნენ კოდორში, თუმცა, კუდამოძუებული წავიდნენ, ისეთი ნინააღმდეგობა გავუწიეთ ქართულმა ფორმირებებმა... ვინც 1990-იანი წლები გამოვიარეთ, იმ მებრძოლებისათვის, 2008 წლის ომის შედეგებზე ყოველთვის უამრავი კითხვის ნიშანი იქნება.

კოდორში 1993 წლის დეკემბრის ბოლომდე ვიყავი, მერე კი სახლში დავბრუნდი.

—ბატონო ლადო, ომგამოვლილი კაცისთვის ხომ ომი დამთავრების შემდეგაც არ მთავრდება? მერე იწყება უკვე სხვა, ძალიან ხანგრძლივი ომი საკუთარ თავთან, მოგონებებსა და ომის სინდრომთან, რასაც ყველა ვერ უძლებს. თქვენ როგორ შეძელით ომის შემდგომ ფეხზე დადგომა, თანაც ისე, რომ დღეს წარმატებული ადამიანი ბრძანდებით და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკის ერთ-ერთი მფლობელი ხართ? ადვილი არ იქნებოდა, ალბათ, ამ გზის გაცლა ნაგებული ომის ვეტერანიდან ნარმატებულ ბიზნესმენამდე...

—არ იყო ამ გზის გაცლა ადვილი. პირველ ყოვლისა, იმას ვიტყვი, რომ მეომრისთვის ომი არასოდეს მთავრდება. შეიძლება ბრძოლები შენყდა, მაგრამ ჩემთვის ომი გრძელდება მანამდე, სანამ ჩვენს ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აქვს. თუმცა, ამის მერეც არ დასრულდება ჩემთვის და ალბათ, არც ერთი მებრძოლისთვის ომი! არაა ადვილი იმ სინდრომის გადალახვა, რომელიც ყველა ნორმარ ადამიანშია და მით უფრო იმ მეომარში, რომელიც თავს დამარცხებული ქვეყნის ვეტერანად მიიჩნევს. ამ სინდრომს ჩვენზე ძლიერმა და განვითარებულმა ქვეყნებმაც ვერ გაუძლეს და მათაც ვერ შეძლეს ბოლომდე მიეცათ ვეტერანებისათვის რეაბილიტაციის გაცლის შესაძლებლობა, ამერიკის, საფრანგეთის, ბევრი სხვა ქვეყნის მთავრობამ ომის სინდროშის დაძლევისთვის დიდი ძალისხმევა გამოიჩინა, თუმცა, ამ სენის დამარცხება შეუძლებელია და მეომარი ამ ტკივილით ცხოვრობს სიცოცხლის ბოლომდე. თუ ადამიანმა თავის თავს თავად არ შეუძახა, არ დაეხმარა, ვერანაირი რეაბილიტაციის კურსი მას ვერ უშველის, ბევრმა ფაქტორმა შემინყო ხელი, რომ ეს სირთულე დამეძლია—ომის შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტს დავუბრუნდი, გავაგრძელე სწავლა, მერე ოჯახი შევქმენი—ომის პერიოდში უკვე შეყვარებული ვიყავი, ჩამოვედი, ვიქორწინეთ და დღესაც ერთად ვართ. მისმა სიყვარულმა, თანადგომამ, ბევრი რამ გადამატანინა, არ ვიყავი მარტივად „გადასატანი"... მერე სიყვარულს მოპყვნენ შვილები, საქმე, სამსახური, შეიძლება შორიდან უცხო თვალს ეგონოს, რომ ყველაფერი გადავიტანე და დავძლიე, მაგრამ ეს ასე არაა! როგორც ზემოთ გითხარით, ნაომარი კაცისთვის ომი არასოდეს მთავრდება... ბევრჯერ შეგახსენებს თავს ის საშინელება, რასაც ომი და შენ თვალწინ ტყვიით და ყუმბარით გაფანტული შენი თანამებრძოლი ჰქვია. უბრალოდ, დროთა განმავლობაში ეჩვევი ამ ძალიან დიდ ტკივილთან ერთად ცხოვრებას.

ორი ათეული წელი ჯანდაცვის სამინისტროში ვიმუშავე სხვადასხვა თანამდებობაზე: სამი წლის წინ ჩემს მეგობრებთან ერთად დავაფუძნე „იმერმედი" და 2017 წლიდან ახალი კლინიკის სახელით ქალაქ თერჯოლაში 85 სანოლიანი, მრავალპროფილური კლინიკის სახით შემოვედით და ვცდილობთ, თანამედროვე ტექნოლოგიებით უმაღლესი დონის სამედიცინო სერვისი მივანოდოთ ჩვენს პაციენტებს.

—თქვენი კლინიკისთვის ვეტერანები განსაკუთრებული პაციენტები არიან და დიდი მადლიერების გრძნობით გიხსენიებენ თქვენს და მთელ პერსონალსაც. ეს, ალბათ, იმითაცაა განპირობებული, რომ თავად ვეტერანს ვეტერანის ტკივილი უკვე გესმით. რა შეგრძნება გეუფლებათ, როცა ვეტერანს ემსახურებით?

—იცით, როგორი განცდა მაქვს, როცა ვეტერანებს ვემსახურები? რაც ომში ვერ შევძელი, ვერ გავუკეთე მეომრებს ბრძოლის ველზე. იმას ახლა მეტად შეეძლებ, ამ გარემოში, ჩემს კლინიკაში, სადაც მეტი რესურსი მაქვს, ყველა პირობა, რომ მათ სიცოცხლე შევუნარჩუნო. ომში ვერ გადავარჩინე ბევრი ქართველი მებრძოლი. ახლა კი, მშვიდობიანობის დროს, ხელს ვერაფერი შემიშლის, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებსაც მივხედო და სიცოცხლე გავუხანგრძლივო. ეს ოდნავ მაინც მიამებს ტკივილს! საყოველთაო ჯანდაცვის ვეტერანთა პაკეტი საკმაოდ კარგი პაკეტია. სახელმწიფო, მისი შესაძლებლობების ფარგლებში ეცადა, ვეტერანების ჯანდაცვის სერვისების მიღების შესაძლებლობა მაქსიმალურად ჰქონოდათ, თუმცა არის გარკვეული შემთხვევები, რომელსაც პაკეტი ვერ ფარავს, ან განსხვავებაა ფა-

☞9

დამღით—თერჯოლის „ველური იმერული“

ალბათ ჯერ კიდევ შორსაა დრო, როცა ჩვენ რაიონში ჩაის პლანტაციები გადაიქცევა, ადრინდელივით ამუშავდება ჩაის ფაბრიკა და თერჯოლური ჩაი შეავსებს სავაჭრო ქსელის დახლებს, მაგრამ, პატარა, ნათელი წერტილი კი გამოჩნდა და ეს სასიამოვნო ნათება შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „ანდიტრია“. დამფუძნებლები— ძმები: ელგუჯა და გრიგოლ ბინაძეები. ამ ენთუზიასტ ადამიანებს ჩვენი გაზეთის მეშვეობით, ვფიქრობთ, უკვე იცნობს მკითხველი.

შევეხმიანეთ ძმებს და სიახლეზე ეკითხეთ. გაუხარდათ ყურადღება, სიახლეებიც გაგვაცნეს.

პირველი ისაა, რომ ჩვენი საწარმოს პროდუქცია ახალი დამღით გამოვა,—ბოი ჩაი თერჯოლის „იმერული ველური“. როგორია, იქვე მკითხა. კარგია, მაგრამ ცოტა „ველური“ ტეხავს, ისე ორიგინალური ნამდვილადაა-მეთქი.

აი, სწორედ მაგ „ველურობამ“ მოგვაპოვებინა ჩინეთში პირველი ადგილი ნომინაციაში— საუკეთესო არომატი, გურიაში გამართულ ჩაის ფესტივალზე კი—გრანპრიო. რკინის ლოგიკა იყო, შეუდარებელი. ჩვენც გვქონდა გაგონილ-მოსმენილი, როგორ განინმატებულან ფიცხი გურულები, ჩვენს მშობლიურ ჩაის კულტურაში თერჯოლურმა როგორ გვაჯობესო.

ნელს უკეთესი მოსავალი გვქონდა განაგრძობს ელგუჯა, მივილეთ და გადავამუშავეთ ჩაის ფოთოლი ეწრიდან, ბარდუბნიდან, ზედა სიმონეთიდან, ძევრიდან... 30-მდე მკრეფავი დასაქმდა, დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდა. პროდუქცია, ცხადია, არაა დიდი ოდენობის, მაგრამ რაცაა უპრობლემოდ მიაქვთ ბიოპროდუქტის გურმანებს საზღვარგარეთის ქვეყნებში, ყველაზე მეტი—ჩეხეთში. გეთხოვეს რაც შეიძლება მეტი მოგვაწოდეთ, ფასზე არ იქნება საუბარი.

ჩვენი შეს რესპუბლიკაში ახალგაზრდა აგრონომ-სპეციალისტების მომზადების სისტემაში ჩაერთო. კერძოდ, ქუთაისის პროფესიული სასწავლებლის „იბერიას“ დირექციამ გაგვიფორმა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ამ სასწავლებელს მეხილეობა-მეჩაიეობის ფაკულტეტის მოსწავლეები ჩვენთან გაივლიან პრაქტიკას. არცთუ დიდი ხანია, რესპუბლიკაში დაინერგა სიახლე—დუალური სწავლება, მოვლა-მოყვანის წესებს, მონაწილეობდნენ ფოთლის კრეფაში.

საწარმოს მესვეურებს ნელსაც გვქონდა მინვევა ჩაისთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე. კერძოდ, მაისის თვეში გურიის სამხარეო ადმინისტრაციამ, მიგვიწვია ჩაისადმი მიძღვნილ კვირეულზე, როგორც წინა წლებში სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული. შეკრებილებმა გავუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება, წამოვაყენეთ წინადადებები დარგის აღორძინება-განვითარებისათვის.

თერჯოლას ამ მხრივ დიდი პოტენციალი აქვს. ჩაის დიდმა გზამ თერჯოლაზე აუცილებლად უნდა გაიაროსო, დასძინა ელგუჯამ ბოლოს.

ღმერთმა ყველა ნატვრა აუხდინოს.

ი. ერაძე

ლიზა ვარდოსანიძეს, გოგა ჭანკვეტაძეს!

გულითადად გილოცავთ შეუღლებას. ბედნიერები იყავით და სიყვარული გახლდეთ თან კეთილ საქმეთა კეთებაში.

როგორც არასდროს, ჩვენს ერს ახლა სჭირდება გამრავლება.

გახსოვდეთ მუდამ— „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“

ახლობლები

რა ბედი ელის „საპოვნელას?“

ეს სახელი, შიგ ქალაქში შემაღლებულ ადგილს, ე.ნ. გამყრელიძეების გორას მას შემდეგ შეერქვა, რაც აქ მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკი გაშენდა. საიდან არ მოდიოდნენ მოსწავლეები საზაფხულო არდადეგების გასატარებლად. შემდეგ ახალი დატვირთვა შეიძინა „პიონერთა ქალაქმა“. ზამთრობით გამოთავისუფლებულ კორპუსებში ნაშრომ-ნაჯაფი მეურნეები ისვენებდნენ და კურორტ „ქვედა სიმონეთის“ ბაზაზე მკურნალობის კურსსაც გადიოდნენ.

ცნობილ მიზეზთა გამო „პიონერთა ქალაქმა“ ჭირი მოგჭამათ. უძრავი ქონებიდან, ორი კორპუსისა და ადმინისტრაციული ნაგებობის გარდა ყველაფერი გაიყიდა. დარჩა მინა, რომელიც ცხადია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და მწვანე კოროში სხვადასხვა ჯიშის მცენარეებისა ნინა საუკუნის 60-იან წლებში გაშენებული. იგი ფაქტიურად ქალაქის ფილტვებს წარმოადგენს და აქ სეირნობა და დროის შინაარსიანად გატარება ადგილობრივ მაცხოვრებლებს უპრობლემოდ შეეძლოთ.

და აი, ამ დღეებში, „საპოვნელას“ ჭიშკარზე გაჩნდა ნარნერა: მიმდინარეობს ობიექტის საპრივატიზებოდ მომზადება. სახელმწიფო ქონების ეროვნული დეპარტამენტი. განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო ახლო-მახლო შემოგარენში მაცხოვრებელთა შეშფოთება მოაყვა და არა მარტო. მოვა ვიღაც (გამორიცხული არაა უცხოელი იყოს) დაისაკუთრებს მამაპაპურ მიწას, შემოავლებს მესერს და შიგ არც ჩვენ და სხვას ცხვირს აღარ შეაყოფინებსო, ასე მსჯელობენ ისინი. შეშფოთებას აქვს საფუძველი, მიწას კი დაისაკუთრებს, მაგრამ ეს მწვანე კოროში,—ფიჭვის, ნაძვის, ჭადრის, ალვისა თუ ვერხვის ხეები ხომ ჩვენი გაშენებულია, თავის დროზე დარგული იმისათვის, რომ ეს ადგილი გაცოცხლებულიყო აქ ჩვენ, ჩვენ შვილებსა და მომავალს ესეირნაო. ეს განსაკუთრებული ადგილია, მყიდველს შეუძლია ნებისმიერი დანიშნულებით გამოიყენოს, კანონის მომარჯვებით თქვას: მინა ჩემია უკვე, როგორც მინდა, ისე გამოვიყენებო. უფრო მეტიც, აილოს „ხელეწო და წალდუნა“ და იმ დარგულ ნალოლიავებ ხეებს დასცხოს, პირისაგან მიწისა აღგავოს, ეს ადგილი სხვა რამისათვის მჭირდებაო.

მცხოვრებთა სურვილია ჩადგეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საქმის კურსში (თუ არ არის) და საქმე, ვისაც ჯერ არს, ისე გადაწყვეტინოს, როგორც ქალაქისა და მისი ბინადრებისათვის იქნება მისაღები.

ი. ერაძე

ნაგვის მრავალფეროვნება...

ეს კადრი სიქთარვაშია გადაღებული, ცენტრალური გზის პირზე, ეს კი მანქანიდან ხელუკულმა ნასროლი ცელოფნის პარკიდან გადმოყრილი ნაგავია—დაჭმუჭნული ხელსახოცი ქაღალდები, კიტრის და კარტოფილის ნაფცქვენები, ხილის ნარჩენები, სიგარეტის ცარიელი კოლოფები, ორიოდე პირბადე, პამპერსიც კი. ამ ჩამონათვალს რომ ვაკეთებ საბუთი მაქვს, რადგან ნაგავი ყველაზე ახლოს ჩემს სახლთან იყო ახლოს, იგი მე და ჩემმა მეზობელმა ავიღეთ, სანაგვემდე სულ ლანძღვა-გინებით მივიტანეთ და იმდენი ველაპარაკე გზაში მიმავალ კაცს, იძულებული გახდა მხარი დაეჭირა და ამ ნაგვის დამყრელს გაუგზავნა კიდეც ცხრასართულიანი.

ამ დროს, სულ რაღაც 200 თუ 300 მეტრში ორი სანაგვე ყუთი დგას, ისე, რომ ნაგვის ასე უადგილოდ დამყრელს ორივეს გამოყენება შეეძლო, ერთს გამოუარა, მეორესთან უნდა გაეელო. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სირცხვილია. არის შემთხვევები, როცა სანაგვე ყუთები ნახევრად ცარიელია, მაგრამ ნაგვით სავსე პარკები გვერდით უწყვია. ნაგავს თავს დასტრიალებენ ძაღლები, კატები, ქათმები. კანაოებში კი მუდმივად ყრია: ცელოფნის პარკები, ლუდის თუ პეფსფანტას პატარა ბოთლები, ნაყინის ქაღალდები, სიგარეტის კოლოფები, პირბადეებიც კი.

არა და ამ და სხვა ნაგვის დამყრელს შეიძლება თავი მოაქვს როგორც ღირსეულ მოქალაქეს, სხვებზე აუგად საუბრობს, პოლიტიკაში ერევა, აზრს გამოთქვამს, ჭკუის დამრიგებლად გვევლინება, კარგად აცვია, მანქანით რომ დადის ნათელია.

ამასთან არის ისეთი ნარჩენები, რომელიც სანაგვე ყუთში არ უნდა ჩავყაროთ: ქაღალდები, მუყაოს ყუთები, წიწვები თუ ხის ტოტები, მათი დაწვა ხომ შეიძლება, სირცხვილია, არ გვეკადრება ეს ჩვენ, სიქთარველებს!

ჟუჟუნა ცხადაძე

კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე
ცხოვრობს ეწერში ასეთი კაცი

როცა ვაპირებ ამ რუბრიკის ქვეშ ვინმე რიგიანი მეურნე წარმოვაჩინო, ჩვეულებრივ, სოფლის თავკაცს ვუკავშირდები და აზრს ვკითხები კონკრეტულ პიროვნებაზე. ამ დღეებში ეწერში მერის წარმომადგენელს მიბეჭილ ქაჩუშაძეს შევხმიანე და სოფლის მკვიდრ გია ზარნაძეზე ვთხოვე ეთქვა ორიოდე სიტყვა. მაგ კაცზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია, ამ შეჭირვებულ დროში სოფელს რომ ამაგრებენ და ერთგულებენ სწორედ მაგ და მაგნაირები არიანო, დასძინა დაბეჯითებით.

პირადად გია ზარნაძეს და მის ოჯახს დიდი ხანია ვიცნობ. ალალი, გამრჯე ადამიანები პყავდა მშობლები, შვილებიც შრომაში დააყრთიანეს და თითოეული მათგანი დღეს მტკიცე, ტრადიციული ქართული ოჯახის პატრონები არიან.

კაცი რომ რიგიანად გაიცნო ან საქმეში უნდა გყავდეს ნახული, ან სუფრაშიო, უთქვამთ ძველებს. გია საქმეშიც მინახავს ოფლში გალვარული და სუფრაშიც გემრიელად მოქეიფე.

სურამში მოეხვდით ერთხელ, ქორწინებაზე, როგორც შორი გზიდან მოსული საპატიო სტუმრები ნეფე-დედოფლის სიახლოვეს დაგვსვეს. მოპირდაპირე მხარეს ნეფის მაყრები იყვნენ ჩარიგებულნი. ბრძანა თამადამ პურობა და გაჩაღდა ლხინი. ერთმა ჩაფსკვნილ-ჩამარყუჟებულმა მაყარმა რაღაცატომ მე ამომარჩია, შენთან უნდა დაველიო ღვინო (ტყავის პლაშპალტო მეცვა, პალსტუხი მეკეთა და ალბათ იფიქრა ესაა ყველაზე საპატიო სტუმარი მოსულებშიო). მივიღე გამონვევა ცხადია. მაგარი მსმელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ბოთლნახევარი ღვინო კი უნდა დალიო ქორწილში რომ ხასიათზე მოხვიდე. დავლევ ცოტას ვიფიქრე და მერე დამანებებს თავს ანა რა იქნება მეთქი. რა თავის დანებება, ჭრაქს უჩენს სასმისებს, თან ჩემსას აკვირდება ნვეთს არ მატოვებინებს. ააშენებს ღმერთი, გვერდით გია მიზის, შემატყო დალევა მიჭირს. გადმოვიბარებ მაგ შენს „გულბაათ ჭავჭავაძეს“ და ვნახოთ ერთი რა მსმელიაო. უარს ვეტყოდი? მორიგი სადღეგრძელოს 4 ჩაის ჭიქიანი ყანწი რომ ჩამოატარეს გიამ შეიესო პირველი, დალია და გადაანოდა ჩემს მეტოქეს. მანაც გამოცალა, მაგრამ გიამ სულის მოთქმის საშუალება არ მისცა და მოდი ერთი მე და შენ რიგგარეშე დავლოთ ჩვენი შეხვედრის და გაცნობისაო. მაყარი კონტრშეტევას ნაღდად არ ელოდა, შეეტყო, რომ გაუტყდა იბტიბარი, ყანწი კი დალია რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ ახლის შესმის აღარც თავი პქონდა და აღარც სურვილი.

ისეთებს, ღვინოში რომ უნდა ჩახრჩობა კი უნდა ასწავლო ჭკუა, მეუბნება გია, ისე უნდა დაათრო სხვისკენ ზიბრით აღარ გაიხედოს, ამასაც მივხედავდი როგორც საჭიროა, მაგრამ იმ ქალბატონს ხომ ხედავ. შენუხებული სახით აქეთ რომ ხშირად იყურება, მეუღლე უნდა იყოს ამისი არ უნდა ლაპარაკი, გატანგავს საცოდავს, ხომ იცი რა საშინელი მოსაელელია გადამთვრალი კაცი. თავად პურობიდან დაბრუნებული ფეხშეშლილი არავის უნახავს.

ამას წინათ რომ შეეხედი ბატონ გიას სწორედ ეს ამბავი გაეახსენე. მგონი მაინც ის დრო სჯობდა, ქეიფს და დათრობას ვილა ჩივა ამ კორონამ მგონი ღვინო საერთოდ დაგვაინყო, მითხრა დარდიანად. კაცს კაცის შეხვედრის რომ შეგეშინდება, სახეზე პირბადე გაქვს აფარებული და გაშლილი ხელის ნაცვლად მუშტს გაუნვდი, ამას ცხოვრება აღარ ქვია. თუმცა ჭირს გაძლება უნდა და როგორმე უნდა გადავიტანოთო.

კითხვა მინდოდა ამ უსაშველო გვალვაში მოსავალი როგორი მოიწია. თავად დამასწრო, სიმინდის ისეთი მოსავალი მივიღე სად დავტოო აღარ ვიცი.

როგორ, რანაირად მეთქი, თოხი უნდა სიმინდსო მომიგო, არაა იოლი, მაგრამ სხვანაირად არ იქნება, ახლა იოლად უნდათ გასელა. იყიდიან შხამებს და უშხაპუნებენ სარეველების სანინააღმდეგოდ, ან კულტივაციას გაუკეთებენ და თოხს აღარ გამოკრავენ. ჯერ ერთი, რომ ის შხამ-ქიმიკატი სიმინდშიც აღწევს პროცენტულად და ვერც ბალახს ანყობს. ნახეი „ფავეთაში“ მსხიერ ფართობებში ისეა ყანები კალამით (ფანჯარა ბალახი) გადავლილი, ასაღებად სიმინდს ველარ აგნებენ. ერთიანად იღებენ პირუტყვისათვის, არადა შენამლეს სასოებით.

მარტო მეურნეც არ მინდა გავამტყუნო. ის შესანამლი პრეპარატები, ასე ძვირი რომ ღირს, ხშირად ფალსიფიცირებულია და რა იყიდება საეაჭრო ქსელში კაცი ვერ გაიგებს. არ მუშაობს ცხადია და რჩება კაცი მოტყუებული. მეორე და მთავარი ისაა, რომ ტექნიკა არაა სოფელში საკმარისად, დახნის დროს, რომ მეურნე ტრაქტორს დაეძებს და მოსავლის აღების დროს კომბაინს ასე სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება.

კარგია გზები რომ კეთდება და კვალი, მაგრამ სოფელს მეტი დახმარება უნდა. ზემოთ რომ ეთქვა ბალახგადაელილი ყანების აღება უნდათ, სიმინდთან ერთიანად მოცელვა, რომ პირუტყვის საკვები მაინც პქონდეთ, ვერ შოულობენ საჭირო ტექნიკას. არის რამოდენიმე, მაგრამ ისეთი რიგებია ზედ, როდის მოუნევს თითოეულს არ იცვან. ამასობაში ოქტომბრის ქარები ფოთლისაგან ცლიან ბალახსაც და სიმინდსაც.

ყურძენიც კარგი მქონდა, დაეწურე ერთიანად საღვინედ. ჩავაბარებდი გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ვინლაა გამსაღებელი. ჩვენთან ჯერ მოყვანაა ძნელი და ძვირი, შემდეგ პროდუქციის რეალიზაცია, ამიტომაა ბაზრები გაჯერებული იმპორტირებული კვების პროდუქტებით. გული მტკივა, რომ მიზეზთა გამო სოფელი იცლება მუშახელისაგან. შრომისუნარიანი ქალი თუ კაცი, ის ვინც ეკონომიურად და დემოგრაფიულად უნდა მოაძლიერონ ქვეყანა, უცხოეთშია ნასული, ან ემზადება წასასვლელად. თუ კაცი გონივრულად გაირჯება ჩვენთანაც შეიძლება თავის გატანა. ფუფუნებაში ცხადია ვერ იცხოვრებ, მაგრამ ოჯახს შეინახავ კაცი.

თავად გიას ჯალაბიდან არავინაა ნასული უცხოეთში სამუშაოდ, თვითონ ჩვენი ინტერვიუერი სპეციალობით მუშაობს, კარგად უთავსებს პირად დამზმარე მეურნეობაში შრომას. იგი 3 ათეულ ნელზე მეტია ელმავლის მემანქანეა და მის პროფესიონალიზმზე პირდაპირაა დამოკიდებული ათასობით მგზავრისა და ათიათასობით ტონა სხვადასხვა ტვირთის ბედი. ვაფშვილი ზაზა მხარში უდგას ყოველდღიურ საქმიანობაში, კარგი ოჯახი აქვს შექმნილი. ქალიშვილი ჯანა აჭარაში პყავს გათხოვილი, ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ინგლისურს ასწავლის. სამაგალითო, ნიჭიერი პედაგოგიაო ამბობენ მასზე. მეუღლე მაია ადრინდელი მეფრინველეობის ფაბრიკის ბაზაზე შექმნილ შპს-შია დასაქმებული, ტოლს არ უდებს ქმარს შრომა-გარჯაში და ოჯახიც, ამ დროის პირობაზე, შეძენილი აქვთ. მათი დიდი სიხარულია თვალხატული შვილიშვილები. გიას ჭიშკარზე დამძახებელი კაცი ჭიაღელვინის დაულეველი ვერ ნავა. ისეთ მადლიანი და ხვავრიელი სუფრის გაშლა იციან სტუმარს რომ გაუხარდება.

უყვართ და აფასებენ გიას კეთილ-მეზობლები, რადგან მათ გვერდითაა ყოველ კეთილ საქმიანობაში.

სამუშაოში ჭირდებათ დახმარება და მკლავდაკაპიწებულია, ლხინის სუფრაა გაშლილი და კია გემრიელი თამადა. ვისაც ვადღეგრძელებ და დავლოცავ, სუყველას კარგად მოუდის საქმეო, ამბობს ღიმილით.

ღმერთმა ჯანის სიმრთელე არ მოაკლოს, ოჯახი უცოცხლოს და უდღეგრძელოს. სოფელს კი უმრავლოს ასეთი ერთგული ადამიანები.

ი. ერაძე

ვლადიმერ (ლადო) კეპულაძე:
მეომრისთვის ომი არასოდეს მთავრდება...

7-ზე

სებში, ამ შემთხვევაში ჩვენი კლინიკა ამ განსხვავებას საკუთარი რესურსებით ფარავს. ჩვენს კლინიკაში ყოფნის პერიოდში ვეტერანებსა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს სამკურნალო კვებითაც უსასყიდლოდ უზრუნველვყოფთ. ძალიან მალე სამშობიარო განყოფილებასაც გავხსნით...

—დასავლეთ საქართველოში თქვენი კლინიკა მართლაც გამორჩეულია. რითი გამოირჩევა „თერჯოლამედი“ სხვა კლინიკებისაგან დასავლეთის ზონაში?

—პირველ ყოვლისა, გამოგვარჩევს სრულყოფილი დიაგნოსტიკური უზრუნველყოფა, ასევე, მულტიპროფილობა. გარდა კარდიოქირურგიისა, ყველა სამედიცინო შემთხვევის მართვა შეგვიძლია, ესეც მომავლის საქმეა. ვნახოთ, როგორ ნავა ჯანდაცვის განვითარება ქვეყანაში და ამის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას, ამ მიმართულებითაც განვვითარდეთ თუ არა.

—ბატონო ლადო, თქვენ ვეტერანთა ყოველთვიურ საყოფაცხოვრებო სუბსიდიაზე, 22 ლარზე, უარი თქვით... მავანი ალბათ იტყვის, რომ მისთვის 22 ლარი არაფერია და ამიტომაც თქვა უარიო.

—მე მხოლოდ 22 ლარზე კი არ მითქვამს უარი, არასოდეს მისაგებელია 3000 ლარიანი საშეღავათო სისტემით (დაუბეგრავ მინიმუმს ვგულისხმობ). შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ეს იყო ჩემი გადაწყვეტილება, რადგან მიმაჩნია, რომ სახელმწიფო მეტადაა ვალდებული ვეტერანის წინაშე! მხოლოდ 22-ლარიანი სუბსიდია და 2000-ლარიანი დაუბეგრავი მინიმუმის ღირსია განა ვეტერანი? თუ ამაზე მეტს არ იმსახურებენ ჩვენი ნაომარი, დასახიჩრებული ბიჭები, მაშინ ამ ქვეყნის საქმე ძალიან ცუდად ყოფილა. ვფიქრობ, მათ მეტი დაფასება, მეტი ყურადღება, პატივისცემა სჭირდებათ, რადგან ისე, როგორც არავინ ამ ქვეყანაში, ისინი ამას იმსახურებენ! სიამაყის და ღირსებისა გამო ვთქვი ამ შეღავათებზე უარი! ამაზე გაცილებით მეტიც რომ ყოფილიყო, გეფიცებით, იმაზეც უარს ვიტყოდი, ოღონდ უკვე სხვა მიზეზით—ჩემთვის გამოყოფილ ამ შეღავათებს იმ ვეტერანისაკენ გადავამისამართებდი, ვისაც ეს ჩემზე მეტად სჭირდებოდა. ეს იქნებოდა სოციალური სოლიდარობის გამოხატულება ჩემს მიერ.

...მესმის, რომ ქვეყანა არაა დალხენილი, მაგრამ ვეტერანებისათვის თანხების მოძიება, მით უფრო მაშინ, როცა ბევრ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე იხარჯება ბიუჯეტის ფული, ყოველთვის შეიძლება. მთავარია, სახელმწიფოს პქონდეს ნება, რომ ამ ქვეყნისთვის ნაომარი ადამიანი დააფასოს! სამწუხარო იქნება, თუ მომავალი ნლის ბიუჯეტშიც არ იქნება ვეტერანებისთვის ყოველთვიური სუბსიდიის გაზრდა გათვალისწინებული!

...ჩვენ ახლა არც სუფრაზე ვსხედვართ, არც სადღეგრძელოს ვამბობთ, რომ შევეჯიბროთ ერთმანეთს, ვის მეტად გვიყვარს სამშობლო, მაგრამ ყველაფერი შენი განელილი ცხოვრების გზით ჩანს! როცა ჩვენ და იმათი უმრავლესობა, ვინც დღეს კანონებს იღებს, ერთი ასაკისანი ვიყავით და ჩვენ ყოველგვარი ანგარიშების გარეშე, სუფთა გულით და ხელებით საქართველოსთვის ომში წავედით. ისინი კი საზღვარგარეთ თავიანთი მომავლის ასანყობად ან სავაჭროდ, აი, აქ მართლა აღარ გავაგრძელებ!.. მათ არ უნდა პქონდეთ უფლება, გადანყვიტონ ჩვენი პრობლემები... ყველამ მაპატიოს... ან იმათ მაინც მოუსმინონ, ვინც ჩემსავით, ჩვენ გვერდით იბრძოდა საქართველოსთვის... და იმასაც ვიტყვი, რომ ბრძოლასთან ერთად, არც განათლებასთან ვართ მნყრალად—სხვაზე ნაკლები არ გვისწავლია! კიდეც ვიომეთ და ვისწავლეთ კიდეც და ქვეყანას თუ დასჭირდა, ისევ დაუფიქრებლად წავალთ სამშობლოს დასაცავად!

არავინ იფიქროს, რომ ქვეყნის სიყვარულს იმ თანხის ოდენობით ვზომავთ, რაც დაგვინიშნეს! არა! ჩვენ ისე წავედით ომში, ნამითაც არ გვფიქრია, რას მოგვცემდა სახელმწიფო, ცოცხლები რომ გადავრჩენილიყავით, ან რომ დავლუპულიყავით ბრძოლის ველზე, ჩვენს ოჯახებს სახელმწიფოს მხრიდან რა სახის მხარდაჭერა ეწნებოდა... და საერთოდ, დარწმუნებული ვარ, არც ერთი ქართველი პატრიოტი ამაზე არ ფიქრობს! სახელმწიფომ უნდა იფიქროს, რომ სოციალურად დაცული ვეტერანი პყავდეს! ეს ქვეყნის ღირსებაა! ისე არაფერი მისცემს მომავალ თაობას მოტივაციას, ჩადგეს საქართველოს სამსახურში, ჩაიცვას ჯარისკაცის ფორმა, როგორც დაფასებული ვეტერანი! საბავშვო ბაღებიდან უნდა ისწავლებოდეს სამშობლოს სიყვარული! განათლების არანაირი რეფორმა არ გამოადგება ქვეყანას. თუ ის ბავშვისათვის პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებაზე, ქვეყნისათვის თავდადებული გმირების მაგალითებზე არ იქნება დაფუძნებული. ევროპული ქვეყნები საკუთარი ქვეყნების ისტორიას, პატრიოტიზმს ნამდვილად ასწავლიან! ჩვენთან ურა-პატრიოტიზმს უფრო ვხედავთ, ვიდრე პატრიოტიზმს!

—რომ შეგეძლოთ, რამდენიმე სიტყვის თქმა იმ მეომრებისთვის, რომლებიც ბრძოლის ველზე დარჩნენ და თქვენ, როგორც ექიმმა, ვერ გადაარჩინეთ, რას ეტყოდით?

—ძალიან მიმძიმს მათი გახსენება... მიმძიმს რაიმეს თქმა, თუმცა ვეტყოდი, რომ მთელი ცხოვრება ტკივილად მაქვს გულში მათი ვერგადარჩენილი სიცოცხლე. მათი სახით ხომ ქვეყანას ძალიან ბევრი ღირსეული შვილი ეყოლებოდა და ვინ იცის, იქნებ, დღეს, ჩვენი სამშობლო, უფრო წელში გამართული ყოფილიყო... ქედს ვიხრი თქვენი სულის წინაშე, ბიჭებო!...

შორენა სიხარულიძე

ჩვენ, თვითმმართველობა და დემოკრატია...

საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში დემოკრატიზაციის დონის შეფასებისათვის არაერთი კრიტერიუმი არსებობს. ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხარისხი ბევრად იმით განისაზღვრება თუ როგორია მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, საზოგადოების მონაწილეობის ფორმა და აქტივობა ჩვენი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკისა თუ ცალკეული საკითხების მოგვარება-გადაწყვეტაში.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" XI თავი მთლიანად ეთმობა მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, სადაც შესაბამისად განსაზღვრულია ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი გარანტიები და ფორმები, მათი აღსრულების პროცედურები და წესი. თვითმმართველობის კოდექსი ადგენს მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს, როგორებიცაა დასახლების საერთო კრების მოწვევა, პეტიციის წარდგენა, საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს წამოყალიბება, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა და თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცალკე—XII[1] თავადაა ასახული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფორმა—პეტიცია, სადაც დეტალურად არის განერილი პეტიციის წარდგენის უფლებამოსილი სუბიექტები, პეტიციის წარდგენის ყველა პროცედურა და ვადები, აგრეთვე მითითება პეტიციის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობაზე, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის დროს გამოვლენილი სხვადასხვა ხარვეზები და ნაკლოვანებები.

მაგალითი არცთუ შორეული წარსულიდან, ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც გადაწყვიტა ელექტრონული ფორმით პეტიციით მიემართა თვითმმართველობისათვის, თვითმმართველობის ოფიციალური ვებ-გვერდის პეტიციის ველში (www.terjola.gov.ge) ატვირთა მისი ყველა პირადი მონაცემი, რაც შემდეგ სხვაგანაც გავრცელდა. მოქალაქემ მომზდარი ფაქტი პირადი მონაცემების სახელმწიფო დაცვის ინსპექტორთან გააპროტესტა.

ინსპექტორის აპარატის მიერ ჩატარებული მოკვლევით, ხარვეზის დაშვებისათვის, ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა როგორც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ისე საკრებულოს.

აღნიშნულ თემაზე განმარტებისათვის ჩვენ მივმართეთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.

„ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა და გარდა იმისა, რომ მერია და საკრებულო დაჯარიმდა, მივიღეთ შესაბამისი რეკომენდაციებიც იმისათვის, რომ მოგვეხდინა ელექტრონული ფორმით ვებგვერდისა და სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით პეტიციის წარდგენის წესის რეგლამენტირება და ცალკეული მექანიზმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მონაცემთა დაცვას—უკანონო გავრცელებას, გამეღავნებას, შეცვლას, დაკარგვას და განადგურებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, იურიდიულმა კომისიამ მოამზადა რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილების პროექტი, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ამ ხარვეზების დაშვების პრევენციას.

კერძოდ, გასულ წელს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე, საკრებულოს დეპუტატებმა მაარი დაუჭირეს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, როგორც საკრებულოს რეგლამენტში ისე საკრებულოს აპარატის დებულებაში.

ვფიქრობთ მნიშვნელოვანია და კარგი იქნება თუ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეები თქვენი გაზეთის მეშვეობითაც გაეცნობიან ამ დოკუმენტებს, რომლებიც საკრებულომ მიიღო პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ვებგვერდის (www.terjola.gov.ge) და სხვა ელექტრონული ანგარიშების (facebook, email) მართვა-დამუშავების და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების შესახებ"—გვიპასუხა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ იმედა რობაქიძემ.

ამჯერად გთავაზობთ პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესს.

„მუხლი 95[10]. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი

საკრებულოს რეგლამენტის 95[7]-ე მუხლით განსაზღვრულ პეტიციის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-სა და დასახლების საერთო კრებას ასევე უფლება აქვთ წარადგინონ პეტიცია ელექტრონული ფორმით საკრებულოს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე terjolissakrebulo@gmail.com-ზე ან მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ პორტალზე www.terjola.gov.ge-ზე.

პეტიცია—ელექტრონული მმართვა საკრებულოს სახელზე პეტიციის წარმდგენ სუბიექტს ანიჭებს პეტიციის ამ რეგლამენტით დადგენილი წესითა და პირობებით განხილვის მოთხოვნის უფლებას.

პეტიციის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველის არანაკლებ 1%-ის მიერ, www.terjola.gov.ge-ით და საკრებულოს ელექტრონული ფოსტის terjolissakrebulo@gmail.com-ით, წარდგენისას, საკრებულოს აპარატის მიერ მისი მიღება, დარეგისტრირება და შემდგომ გამოქვეყნება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) წარმოდგენილია განცხადება და იგი შეიცავს მკაფიოდ ფორმულირებულ მოთხოვნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს კონკრეტული გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) შეიცავს პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) მითითებულია პეტიციის შედგენის დრო და ადგილი;

დ) წარმოდგენილია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც შეიცავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს ან/და მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემ(ებ)ის აღწერა/დასაბუთებას და საკითხ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნას.

ზ) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის ნარმდგენი ამომრჩეველების სია, რომელიც უნდა შეიცავდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

პეტიციის, დასახლების საერთო კრების მიერ, www.terjola.gov.ge-ით და საკრებულოს ელექტრონული ფოსტის terjolissakrebulo@gmail.com-ით, წარდგენისას, საკრებულოს აპარატის მიერ მისი მიღება, დარეგისტრირება და შემდგომ გამოქვეყნება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) წარმოდგენილია განცხადება და იგი შეიცავს მკაფიოდ ფორმულირებულ მოთხოვნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს კონკრეტული გადაწყვეტილების შესახებ, პეტიციის შედგენის დროს და ადგილს, დასახლების საერთო კრების რჩეულის (შემდგომში – რჩეულის) ან საერთო კრების უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;

ბ) განცხადებას თან ახლავს დასახლების საერთო კრების რჩეულის (შემდგომში – რჩეულის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

გ) განცხადებას თან ახლავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ან მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს ან/და მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემ(ებ)ის აღწერა/დასაბუთებას და საკითხ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნას.

ზ) ნარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის ნარმდგენი ამომრჩეველების სია, რომელიც უნდა შეიცავდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

პეტიციის, დასახლების საერთო კრების მიერ, www.terjola.gov.ge-ით და საკრებულოს ელექტრონული ფოსტის terjolissakrebulo@gmail.com-ით, წარდგენისას, საკრებულოს აპარატის მიერ მისი მიღება, დარეგისტრირება და შემდგომ გამოქვეყნება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) წარმოდგენილია განცხადება და იგი შეიცავს მკაფიოდ ფორმულირებულ მოთხოვნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს კონკრეტული გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) ეხება ერთ ან ერთზე მეტ ამომრჩეველ ან ამომრჩეველთა ჯგუფს;

გ) ეხება ერთ ან ერთზე მეტ ამომრჩეველ ან ამომრჩეველთა ჯგუფისთვის ზიანის მომტან მოვლენებს;

დ) ეხება ერთ ან ერთზე მეტ ამომრჩეველ ან ამომრჩეველთა ჯგუფისთვის ზიანის მომტან მოვლენებს;

ე) ეხება ერთ ან ერთზე მეტ ამომრჩეველ ან ამომრჩეველთა ჯგუფისთვის ზიანის მომტან მოვლენებს;

ვ) ეხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ან ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, ღღვევებს ეროვნულ, კეთილურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ამკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაუმორჩილებლობის მოწოდებებს შემცველია;

ზ) წარდგენილი პეტიციები, რომლის მოთხოვნაც მხოლოდ ერთი კონკრეტული პირისეულების ინტერესებშია;

თ) წარდგენილია ისეთი პეტიცია, რომელიც ეწინააღმდეგება ამ დადგენილებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

6. ელექტრონული პეტიციის მიღება, დარეგისტრირება და www.terjola.gov.ge-ისპორტალზე გამოქვეყნება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ამ მუხლის მესამე, მე-4 და მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებულ ყველა მოთხოვნას ერთად.

7. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული პეტიცია არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს, იგი არ იქნება მიღებული და არ გამოქვეყნდება www.terjola.gov.ge-ის პორტალზე.

„მუხლი 95[11].პეტიციის ელექტრონული ფორმით მიღება, რეგისტრაცია და გამოქვეყნება

პეტიციის ელექტრონული ფორმით მიღება—პეტიციის წარმდგენი უფლებამოსილი სუბიექტების მიერ, ელექტრონული მიმართვის www.terjola.gov.ge-ზე ან საკრებულოს ელექტრონული ფოსტაზე terjolissakrebulo@gmail.com-ით გადაგზავნა.

პეტიციის რეგისტრაცია - საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირების მიერ, პეტიციის შესაბამისობის ამ რეგლამენტის 95[10]-ე მუხლის მოთხოვნებთან დადგენის შემდეგ, განცხადების (ელექტრონული მიმართვის) დარეგისტრირება საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში, რომელსაც სისტემურად ენიჭება სარეგისტრაციო კოდი.

პეტიციის გამოქვეყნება - საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირების მიერ, პეტიციის რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში, საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის (პეტიციის) ელექტრონულ რესურსზე www.terjola.gov.ge-ზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსება.

პეტიციის ნარმდგენი უფლებამოსილი სუბიექტების მიერ, www.terjola.gov.ge-ზე ან საკრებულოს ელექტრონული ფოსტით terjolissakrebulo@gmail.com-ით წარდგენის შემთხვევაში, სამი დღის ვადაში საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირები ადგენენ პეტიციის შესაბამისობას ამ რეგლამენტის 95[10]-ე მუხლის მოთხოვნებთან;

ამ რეგლამენტის 95[10]-ე მუხლის მოთხოვნებთან პეტიციის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირები არეგისტრირებენ პეტიციას შესაბამის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში, რომელიც გადაეგზავნება ადრესატს-დანესებულების ხელმძღვანელს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის მერს; ხოლო პეტიციის წარმდგენ სუბიექტს გადასცემს განცხადების რეგისტრაციის მოწმობას და პერიოდულად აცნობებს პეტიციის გამოქვეყნების წყაროს, შესაბამის ორგანოებში განხილვის ვადებსა და პროცედურებს.

თუ, პეტიციის განხილვის თაობაზე, განცხადების წარმდგენი სუბიექტი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩეველია (არანაკლებ 1%-ის):

ა) პეტიციის წარდგენისა და ამ რეგლამენტის 95[10]-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირები, პეტიციის წარმდგენ სუბიექტს გადასცემს ამომრჩეველთა სიის დამოწმებულ ბლანკებს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ამომრჩეველის სახელსა და გვარს, დაბადების თარიღს (რიცხვი, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერს, რეგისტრაციის ადგილს, ხელმოწერის თარიღს და ხელმოწერას;

ბ) ამომრჩეველთა სიის დამოწმებული ბლანკების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩეველთა დადგენილი ოდენობის ხელმოწერათა შეგროვებას და წარდგენას, რის შემდეგაც 7 კალენდარული დღის ვადაში მოწმდება მისი შესაბამისობა ამ რეგლამენტის 95[1]-ე მუხლის მოთხოვნებთან.

გ) საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიებში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, პეტიციის წარმდგენ სუბიექტს მიეცემა 10 კალენდარული დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ამ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის ან/და განმეორებით წარდგენილ ამომრჩეველთა სიებში კვლავ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირ(ები) საკრებულოს თავმჯდომარეს ხელმოსაწერად წარუდგენენ ბრძანების პროექტს „პეტიციის წარდგენაზე განცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ", რის შესახებ 3 დღის ვადაში ეცნობება პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

პეტიციის, ელექტრონული ფორმით მიღება, რეგისტრაცია და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა უფლებამოსილებები განისაზღვრება საკრებულოს აპარატის დებულებით ან საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სიცოცხლე აქ იწყება

საქართველოს დემოგრაფია დღეს

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი?!“

ეს კითხვა დიდი ხანია გვაწვალებს.

გვაფიქრებს ჩვენი ქვეყნის სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა.

არა, და...

როგორი ამაყები ვართ, რომ დიდი დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის დროს ქართველობა თორმეტ მილიონს ვითვლიდით. რომ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განვაგებდით ამერ-იმიერს: რომ ჯვნინდით უძველეს დამწერლობას, ეწერდით „ვეფხისტყაოსანს“, ვზრდიდით „ვეფხვებთან მეომარ მოყმეთ“, ვაგებდით ეკლესია-მონასტრებს, კლდეში გამოვკვეთეთ ვარძია და უფლისციხე, რომ შევქმენით დავით გარეჯის მთელი საეკლესიო კომპლექსი, მსოფლიოს ვაჩუქეთ ვაზი, რომ კოსმოსს გავუგზავნეთ „ჩაკრული“ და ა.შ.

ახლა?

ახლა ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, სხვა საკომუნიკაციო საშუალებები აფიქრებენ სტატისტიკურ ცნობებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

ეს ყველაფერი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფონდის მიერ გასაჯაროებულ ცნობებზე დაყრდნობით პროფესორი ანზორ თოდაძე წერს, რომ საქართველოს მოსახლეობა მცირდება და ეს ძირითადად ხდება ქართველების ხარჯზე.

რომ ახლა საქართველოში უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე იბადება.

რომ საშიში ხასიათი აქვს დემოგრაფიულ პროცესს.

რომ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საზღვრისპირა სოფლებში, ასევე მთიანეთში—რაჭა-ლეჩხუმში, თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში და ა.შ. და ა.შ.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, პრობლემების დარეგულირება მეტ თანამიმდევრულ ძალისხმევას მოითხოვს და არა მხოლოდ ხელისუფლებისაგან.

მხოლოდ ქმედითი ფართო მოცულობითი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში გაეცემა დადებითი პასუხი კითხვას—„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი?“

ნ. ბამყრელიძე

ბუნებრივია, რომ ასეთი დემოგრაფიული სურათი ყველასათვის საგანგაშო თემა უნდა იყოს და სწორედ მასზე გვინდა გავმახვილოთ სიტყვა, ვთქვათ თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი მატერიალურად თუ საკანონმდებლო სიბრტყეში, რა უჭირთ მრავალშვილიან ოჯახებს თუ რატომ გაურბის ქართველობა მრავალი შვილის გაჩენას, რაც ერის გადაშენების სანინააღმდეგო უმთავრესი საშუალებაა. აეღოთ თითქოს მარტივი თემა—საშობაო სახელები და შობიერობა. რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, გულისწყვეტილი უნდა ვთქვათ, რომ თერჯოლაში 10 წელი არ ფუნქციონირებდა საშობაო სახლი და ბუნებრივია, ამ ათი წლის განმავლობაში არცერთ თერჯოლის ახალშობილ მკვიდრს არ ეძლევა დაბადების მოწმობა ჩანაწერით: „დაბადების ადგილი—თერჯოლა“.

სასიხარულოა, რომ „იმერმედის“ ხელმძღვანელობის დაუღალავმა შრომამ და დაფინანსებულმა ქმედებებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტს 10 წლის შემდეგ, 2020 წლის 7 იულისს კვლავ დაუბრუნა საშობაო სახლი, მეორე დონის პერინატალური საშსახური, რომელსაც მიუნიჭა თერჯოლაში პირველი სამეანო საშსახურის დამფუძნებლის, ყველასათვის პატივსაცემი ექიმ მეანგინეკოლოგის ვასილ ჯერულაშვილის სახელი. საშობაო სახლის საპატიო ხელმძღვანელად დანიშნა თერჯოლელებისათვის ყველასთვის ცნობილი, საყვარელი ქალბატონი ლალი გვეტაძე.

2017 წლიდან კლინიკა „იმერმედი“ აღითარებს რა სხვადასხვა სერვისებს, 25 საწოლიდან 115 საწოლამდე გაზარდა საწოლთა ფონდი. დღეს კლინიკა აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური თანამედროვე აპარატურით, მონწეული გყავს მაღალკვალიფიციური კადრები, მათ შორის მეანგინეკოლოგები (ხელმძღვანელი მინდია კოპალეიშვილი), ნეონატოლოგები (ხელმძღვანელი მაია კვეტენაძე), რადიოლოგები და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესო ამ თემას ჩვენული გულისხმიერებით გამოეხმაურა „თერჯოლამედის“ მთავარი ექიმი სოფიკო ბუსკოვაძე. რედაქცია მადლობას უხდის ქალბატონ სოფიკოს გაზეთთან თანამშრომლობისა და საყურადღებო წერილობითი გზავნილისათვის, რომელშიც მაღალკვალიფიციურ დონეზე არის მოთხრობილი ესოდენ საჭირო სამსახურის საქმიანობის შესახებ და გარკვეულწილად პასუხობს კიდეც ზოგად პრობლემას:

კლინიკა „იმერმედის“ უმთავრესი ამოცანაა შექმნას თბილი ოჯახური გარემო დედისა და ახალშობილისათვის, მოუდგეს ინდივიდუალურად და დაიცვას მათთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე—სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ბედნიერება.

პირველი მშობიარობაც მივიღეთ, 2020 წლის 3 სექტემბერს დაიბადა მდედრობითი სქესის ახალშობილი, თუმცა, სამშობიარო სახლმა სრულყოფილად ვერ განახორციელა ის მიზანი იმ ეტაპზე, რაც დასახული გვქონდა. მიზეზი კოვიდ-პანდემიაა, რომელმაც სულ სხვა გარემოში და სამუშაო ჭრილში გადაიყვანა მთელი კლინიკა. 2020 წ. 12 ოქტომბრიდან ჩვენი კლინიკა სრულად მაქსიმალური სანოლფონდით (150 სანოლი) ჯანდაცვის სამინისტროს მითითებით გადაკეთდა მრავალპროფილურ კოვიდ-კლინიკად. რეგიონში ამ სტატუსით ანალოგი არ არსებობდა.

სამშობიარო სახლიც ამ რეჟიმში გადავიდა, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შენარჩუნდა არსებული სტაფი, შესაბამისად არ შეუზღუდავს ფუნქციონირება, ემსახურებოდა სხვადასხვა რეგიონებიდან გადმოყვანილ კოვიდ-ინფიცირებულ ორსულებს (12 ორსული) და მათ შორის ფსიქიკური პრობლემებითაც დაავადებულ მშობიარეებს. ნეონატალურმა სამსახურმა სხვა დანესებულებებიდან გადმოყვანილი 3 ახალშობილი მიიღო და გამოჯანმრთელებული განერა ბინაზე.

მომდინარე წლის მაისიდან კლინიკა გადავიდა პობრიდულ რეჟიმზე, კოვიდ-პაციენტთა მკურნალობაზე გამოყოფილი იქნა 63 სანოლი, შესაბამისად, სამშობიარო სახლმა განაახლა ორსულთა მიღება. მიუხედავად იმისა, ამ ეტაპამდე ვერ მოხერხდა მშობიარობის კომპონენტით „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ ჩართვა, ჯანდაცვის სფეროში მომდინარე ე.წ. „ტარიფიკაციის“ პროცესის გამო, შიდა სტანდარტით (რომელიც იმ ტარიფზე დაბალია, რაც სხვა სამშობიარო სახლებში მშობიარეთა ოჯახებს დანამატის სახით აქვთ გადასახდელი სახელმწიფო პროგრამის ზემოთ), წარმატებით ჩატარდა 3 საკესარო კვეთა და მიღებულ იქნა 3 ფიზიოლოგიური მშობიარობა. იმედია უახლოეს პერიოდში ჩავერთვებით სახელმწიფო პროგრამაში. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამით მშობიარე და მისი ოჯახი ამჟამადაც არ ზარალდება.

ჩვენთან დასაქმებულებმა იციან, რომ მას და მათ ოჯახის წევრებს კლინიკაში სამედიცინო მომსახურებაზე შიდა სტანდარტისა და თანაგადახდის შემთხვევაში აქვთ 50%-იანი ფასდაკლება. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით 1 მაისიდან შპს „იმერმედი“—იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი (თერჯოლამედი)-ის თანამშრომლები და თანამშრომელთა ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილი, რძალი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ერთიდაიმავე მისამართზე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური კომპონენტის ფარგლებში ორსულობის გამო იმყოფებიან აღრიცხვაზე („იმერმედის“ ე. ვერულაშვილის სახელობის სამშობიარო სახლის ქალთა კონსულტაციაში, სრულად გათავისუფლდნენ ფიზიოლოგიური მშობიარობის ტარიფზე დადგენილი დამატებითი გადასახადისაგან.

განყოფილებაში ყოფნის პერიოდში დედა და ახალშობილი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო საშუალებით (თეთრეული, ხალათი მელოგინისათვის, ნარნერით—„მე ლამაზი გოგოს დედა ვარ“, „მე მაგარი ბიჭის დედა ვარ“, ჰიგიენური საშუალებები დედისა და ახალშობილისათვის, მელოგინის კვება, საჭიროების შემთხვევაში ახალშობილის ხელოვნური კვების საშუალებით უზრუნველყოფა), განერისას ახალშობილს საჩუქრად გადაეცემა კლინიკის ემბლემით გაფორმებული ჩასაცმელი, ნარნერით—„მე დავიბადე იმერმედში“, ასევე სამახსოვრო ფოტო.

უნდა აღინიშნოს ის საკითხიც, რომ ახალშობილს ადგილზე უტარდება საჭიროების შემთხვევაში რადიოლოგიური კვლევები—ნეონატალური რენტგენი, ნეიროსონოსკოპია, გულის ექოკარდიოგრაფია და სმენის სკრინინგი. ახალშობილთა სპეცმოვლის პალატა 2 სანოლზე აღჭურვილია გადაუდებელი, ინტენსიური და კრიტიკული მდგომარეობის მარტისათვის საჭირო აპარატურით, პალატები ინდივიდუალურია, კეთილმოწყობილი, სანიტარული კვანძებით ტელევიზორით, მაცივრით, კოვიდ-რეგულაციების დაცვით, შესაძლებელს ვქმნით სამშობიარო ბლოკსა და მელოგინეთა პალატაში მამის დაშვებას.

რა არის „იმერმედის“ სამშობიარო სახლის უპირატესობა რეგიონში არსებულ პერინატალურ დანესებულებებთან მიმართებაში? მულტიპროფილურ კლინიკასთან ინტეგრირებული სამეანო-ნეონატალური საშსახური, სადაც საჭიროების შემთხვევაში ორსულს, მშობიარეს, მელოგინეს და ახალშობილს 24-საათიან რეჟიმში ადგილზე მიეწოდება ყველა საჭირო კვლევა და პროფილური ექიმის მომსახურება. სახელმწიფოს მიერ დადგენილი „პერინატალური სამსახურის განვითარების დებულების“ შესაბამისად, დონეების კლასიფიკაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, ისე რომ შენარჩუნებულ იქნას სამედიცინო მომსახურების უნყვეტობა, მელოგინისა და ახალშობილის გადაყვანა განხორციელდება მესამე დონის პერინატალურ დანესებულებაში.

სამშობიარო სახლთან ფუნქციონირებს ქალთა კონსულტაცია. აქ ორსულები ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში, სრულად უფასოდ მიიღებენ შესაბამის მომსახურებას ორსულობის 13 კვირიდან მშობიარობამდე პერიოდში. შეუძლიათ ამაში თავად ორსულები დარნმუნდნენ, მობრძანდნენ...

კერძო ინვესტიციის კუთხით, ამ პროექტს ნამდვილად ვერ დავარქმევთ ბიზნეს-პროექტს. ამ პროექტის სიკეთეები გათვლილია თერჯოლისა და მიმდებარე რეგიონის მოსახლეობისათვის პერინატალური მომსახურების კლინიკური, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

და ბოლოს, სიცოცხლე ხომ აქ იწყება...

გილოცავთ !!!

კლინიკა „იმერმედი“-ს სამშობიარო სახლში დაიბადა პრინცესა **სარა დევეიძე** 3,300 კგ. 50 სმ. ფიზიოლოგიური მშობიარობის გზით.

დედა და შვილი თავს შესანიშნავად გრძნობენ.

მთელი გუნდის სახელით ვულოცავთ სარას მშობლებს: ინა ჩახუნაშვილსა და ვალერი დევეიძეს პატარა ქალბატონის დაბადებას. ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

• • •

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგები ვულოცავთ ამავე სკოლის თანამშრომელს **გულიკო გიორგაძეს** შვილიშვილის შეძენას.

ნია მალხაზის ასულ გიორგაძეს ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას და სასახელო ქართველ ქალად გაზრდას.

მადლობა ექიმს

სოფელ ზედა სიმონეთის ამბულატორიის გამგედ ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში, ექიმმა იამზე ფორჯოლიანმა მოსახლეობის ნდობა დაიმსახურა.

დიდი სიყვარულით, პატივისცემით, მისადმი კეთილდამოკიდებულებით არის განწყობილი სოფლის მოსახლეობა. მეც გულითადად ვუერთდები მისადმი ამგვარ დამოკიდებულებას.

თავისი ჩვეული გულისხმიერებით, პროფესიონალიზმით, სრული პასუხისმგებლობით ასრულებს თავის საექიმო საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პაციენტებისადმი დამოკიდებულება კოვიდის პერიოდში. რამდენიმე კოვიდ-ავადმყოფი გადაარჩინა და გამოაჯანმრთელა მისმა პროფესიულმა ნიჭმა და დროულმა კვალიფიკაციურმა ჩარევამ და მკურნალობამ. რამდენ პაციენტს გაუხანგრძლივა და შეუნარჩუნა სიცოცხლე. ასეთი ექიმი ნამდვილად დაამშვენებდა საქართველოს ნებისმიერ წამყვან კლინიკას.

ბარაქალა შენს ქალობას, პროფესიულ უნარს და პასუხისმგებლობას.

სადაც ამჟამად კოვიდ-ვაქცინაცია მიმდინარეობს, ნარმატებები თქვენს ამბულატორიას.

იამზე ექიმო, გისურვებ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს შენს საყვარელ კარგ ოჯახთან ერთად (პყავს მეუღლე და ორი ვაჟი, უფროსი ნარმატებული ექიმია თბილისში, მეორე ინჟინერია).

მაყვალა კლდიაშვილი,
სოფელი ზედა სიმონეთი

მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო კლინიკა თერჯოლა-მედის ექიმ ვალერი ნანიკაშვილს და მის გვერდით მდგომ ყველა მედპერსონალს, ჩემი დის მზია ბაკურაძის და მისი 92 წლის მულის მიმართ გამოჩენილი უდიდესი ყურადღებისა და სწორი მკურნალობისათვის. ორივე უაღრესად კმაყოფილია თქვენი მომსახურეობით, უფალმა გაგაძლიეროთ და გისურვებთ ნარმატებებს ამ ვერაგ (კორონა) დაავადებასთან ბრძოლის საქმეში. მადლობა რომ არსებობენ თქვენისთანა დაუღალავი, ყურადღებიანი და თავისი საქმის მცოდნე, პროფესიონალი, მედიცინის მუშაკები.

იზა ბაკურაძე

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში დაბადებული და აღზრდილი კეთილშობილი მამულიშვილის, ზაგორსკის აკადემიის კურსდამთავრებულ მეცნიერ-მუშაკის, თბილისის სამების საკათედრო ტაძარში მოღვაწე ბერ-დიაკონის

მამა გიორგის
(ერში რამაზ გიორგაძე)

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

წიფობისთვეა, წიფობისთვე!

ნოველები რთველზე
ანუ
აი, როგორი ხარ შენ ჩემო მეზვრევ

პირობითად ნოველებს ვარქმევ ნაჩქარევ, იქნებ გაურანდავ, მაგრამ შენს მიმართ დიდი სიყვარულით გაკეთებულ სტიქონებს, ზოგი მათგანი სხვადასხვა დროს გამიმჟღავნებია კიდეც მკითხველისათვის.

***

ვაზი, ეს მარადისობის, მრავალჟამიერობის ღრმა აზრის მომცველი ოპტიმიზმის საგალობელია. გამძლეა ისევე, როგორც შენ — მზეკაცო! დიადია და ძალუძს ყოველ ზეციერს კაცთმოყვარეობა შთააგონოს, ბოროტს სიკეთის მირონი აპკურის და წყედიადს გამოარიდოს ყოველი სინათლეს მონყურებული.

საუკუნეთა მიღმა ჩვენმა წინაპრებმა მაღალი ხამლოცველოს თეთრ კედელზე ყურძნის მტევანი რომ გამოაჩუქურთმეს ზედვე სიყვარულით ამოკვეთეს — „შენ ხარ ვენახი".

მსოფლიოს ნააკითხეს, რომ ვაზი ჩვენიანებმა

მოიშინაურეს და მადლიან მიწაზე აბარეს უხსოვარი დროიდან.

ამით გააჟღერეს ჩვენი ვინაობა — ვინა ვართ და საიდან მოვდივართ!

***

ჩემო მეზვრევ, თვალს რომ შეგავლებ მოახლოვებული რთველის თადარიგით გართულს — მოფუსფუსეს, ფიქრიანს, ზოგჯერ იქნებ შუბლშეკრულსაც, არ ვიცი მერამდენედ აღმოვაჩენ, რომ სწორედ შენს გამოა შემოდგომა განსაკუთრებით ლამაზი და ლაზათიანი. შენ ხარ ამ მადლის შემოქმედი. ალალი, ავისა და კარგის გამგები, შრომას შეზრდილი და ძნელბედობას გაშინაურებული, ჭირსა და ლხინში მოყვასის თანამდგომი და ხელისგამწოდებელი.

***

ქარვისფერი მტევნებით კალთადამძიმებულ ვაზს რომ გახედავ ნაჯაფარი სახე გაგინათდება, მაღლდები ვალმობდილობით ნაამები.

ეს არის შენი არსებობის ფილოსოფია.

გმადლობთ ამისთვის.

გმადლობთ ნლის განმავლობაში განეული შრომისთვის ნასათუთარსა და ნალოლიავებ ვაზს რომ მიუძღვენით. ეს სასუქის შეტანაო, გასხვლაგადახვევაო, დაბარვა, დათხნა, მერე ნამლობები... სულ უნდა ეფერო, სულ უნდა ელოლიაო... ახლა... ცა? მეზვრეს ცალი თვალი ხომ გამუდმებით ცისკენ უჭირავს!.. რომელი ერთი ფაქტორი უნდა ჩამოვთვალოთ?..

ხომ ვიცით ვაზის წამლობას რომ განიზრახავ, მთელ ღამეს მოუსვენრად გძინავს. დროდადრო აივანზე გაიხედავ ცის დასალიერს მიანვდენ მზერას. ამინდის გაფუჭების უსიამო მოლოდინი გაკრთობს. ალიონზე „წამალს" შეაზავებ, ძალუმად დაურეკ. სანამ ცვარი გადაშრება კარგად უნდა „ჩამაჭრდესო" თავს გამოელაპარაკები. ცას კიდევ ერთხელ აღაპყრობ მზერას, გულს დაიიმედებ. აუზთან ახლოს კომშისა და ბრონეულის გრილოში საიმედოდ ფუჩეჩდაფარებულ თიხის დოქსა და ე.წ. ჭინჭილას სხვა პატარ-პატარა „რაღაცეებთან" ერთად ადგილს მიუჩენ... მერე „საციოდ" გამოეწყობი და „დაუბერავ"...

ნაგსნრებივარ ორი თუ სამი მწკრივილა დაგრჩენია გასალურჯებელი, ღრუბელი საავდროდ რომ ჩამოწოლილა და წვიმასაც არ დაუბანებია. დაჯავრიანებულს კბილებიდან გამოვიცრავს „ეშმაკმა ნაგილოსო" და კიდევ რაღაც-რაღაცეებიც ზედ მიგიყოლებია შენ რო იცი ხოლმე ჯავრიან გულზე!.. ნამლობა მაინც გაგიგრძელებია, ბოლომდე გასულხარ ბუნების კაპრიზთან გაჯიბრებული. ციცქის ნვენი ჭინჭილაში აღარ ჩაგისხამს პირზე დოქშიდგმულს გული ისე მოგითბებია.

***

ადრეულ ნლებში, სულ ადრე, ფეხბურთის ბუმი რომ იყო ჩვენში, ქართული ფეხბურთის ვირტუოზები და ფანტაზიორები თავბრუდამხვევ ტემპში მეტოქეთათვის ამოუცნობ და ამოუხსნელ ლაბირინთებს რომ ქსოვდნენ და სასწაულებს ახდენდნენ მწვანე მინდვრებზე, მაშინ დიდი ფეხბურთის დღეს ღამის მთელი საქართველო თბილისში იყრიდა თავს. ზოგი სამსახურიდან მივლინებით, ზოგი უმივლინებოდ, ზოგი ავადმყოფობის მოტივზეზებით, ზოგი ისე, ხელაღებით ბორის პაიჭაძის სახელობის თითქმის 90 ათას ადგილიან სტადიონზე ამოვყოფდით ხოლმე თავს. ახსოვს ეს ბედნიერი ეპოქა ჩემი თაობის ფეხბურთის გულშემატკივრებს. შენც, ჩემო მეზვრევ, ფეხბურთის თავდავიწყებულო ქომაგო, თბილისის „დინამოს" ერთ მატჩსაც რომ არ გააცდენდი: შენთვის ფეხბურთის დღეს არც სამუშაო, არც ოჯახი, რომ არ არსებობდა — როგორც ნესი თბილისში მიემგზავრებოდი ფეხბურთის სანახავად. ერთხელაც, დიდი ფეხბურთის დღეს, ჩემდა გასაოცრად ზვარში დაგინახე. თვალს არ დავუჯერე ფეხბურთით ჩემზე მეტად გადარეული და შეშლილი — ვაზს ფურჩქნიდი! შემნიშნე თუ არა, გაკვირვებით მოშისამძიმრესავით ფეხბურთის ზეიმზე ნაუსვლელს. მერე შენი „სეედიანი" ამბავიც მოაყოლე — ერთი ნლის მოსავალი სულ რომ არ მივილო ეს არ დამაქცევს. მარა რა ვქნა, კაცო, ვაზი ყვავილობას ინყებს, ახლა თუ არ მივხედე გაფუჭდება და მეცოდებაო. ვაზი მეცოდებაო! აი, როგორი ხარ შენ, ჩემო მეზვრევ. დიდი საფეხბურთო სპექტაკლის, ლეგენდარული მესხისა და მეტრეველის, იამანიძისა და ბარქაიას (სიომა) სანახავად არ ნახვედი ვაზის გამო. ეს ხომ თავგანნირვის ტოლფასი იყო შენთვის!?

***

ისიც მახსოვს, იქ, სოფლის განაპირას, წყაროსთან ბავშვები ერიაშულობდნენ, დაჭერობანას თამაშობდნენ თუ რას, არ ვიცი. იყო ერთი გნიასი. შენ ზვარიდან გამოხვედი. მორიდებით მიმართე გოგო-ბიჭებს: „შვილებო, ცოტა ჩუმად... ვაზი ყვავილობსო!.."

საოცარია, ხომ? აი, როგორები ხართ თქვენ, მეზვრეები...

***

ისიც კარგად მახსოვს, ყურძნის კრეფაში ახლობლები, რომ გშველოდნენ. ზოგ-ზოგნი დაუდევრად კრეფდნენ მტევნებს. ქარვისფერი მარცვალი ცვიოდა აქა-იქ. შენ იბრუნებოდი და კრეფდი ფრთხილად. იმიტომ კი არა, ერთი-ორი კილოგრამი ყურძენი ასე დაგაზარალებდა — მეცოდება, ნლის მოსავალიაო — ჩაილაპარაკებდი ვითომ შენთვის, ვითომ სხვებისთვის არ გასაგონად.

***

დიდ ქართველ მწერალ-მესიტყვეს გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის საოცარი გამონათქვამი მეზვრის თემასთან დაკავშირებით: „მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში". თვალით აქ ნაგულისხმევია მზე... „თვალი ჩასულა მტევანში" ეს ნამდვილი პოემაა. პოემასთან ერთად „ირმის ნახტომი".

თუ არა შენ, ჩემო მეზვრევ სხვა რა ძალა დაანერინებდა, სხვა რა ძალა შთაგონებდა მოაზროვნეს ამ შედეგრის ქალალდზე გადასატანად და უკვდავსაყოფად?

ასეთი ხარ შენ, ჩემო მეზვრევ, ვაზზე შეყვარებული ბრძენო.

მინდა თავი შენს გვერდში ვიგულო და ვიშრომო, შენსავით ბრძენი, კეთილი და ჯანიანი ვიყო. შენთან ერთად შევსება ჩვენი სიმამაცისა და ჩვენი ხალხის გამარჯვების სადღეგრძელო.

ნუგზარ გამყრელიძე

ერთ საარჩევნო უბანზე

ორ ოქტომბერს ორივე საარჩევნო უბანში არჩევნების პროცესი სრულ რვა საათზე დაიწყო. დილიდან საღამომდე ვაკვირდებოდი არჩევნების მსვლელობას ხან ერთ, ხან მეორე უბანში და მიუხედავად დიდი კონკურენციისა, ამომრჩეველთა სიმრავლისა, ორივე უბანში სრული სიმშვიდე იყო. ამომრჩევლებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავისუფალ და მშვიდ გარემოში გაეკეთებინათ არჩევანი. აქ არ ყოფილა

დავა-კამათი, კანდიდატებზე შეხედულებების გაზიარება, დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამომრჩევლებს გადაწყვეტილება თავიდანვე ჰქონდათ მიღებული, სჯეროდათ საკუთარი არჩევანის, მცდელობა-ზენოლა მოეხდინა ვინმეს რომელიმე ამომრჩეველზე არ ყოფილა, სიქთარვა და ჩხარიეწრელებმა გამოავლინეს არა მარტო მაღალი აქტივობა, არამედ არჩევნების კულტურა. ამ დღეს თითქმის მოგვნატრებია ერთმანეთი, შენობის გარეთ ყოფნისას მეც შევხვდი დიდი ხნის უნახავ ადამიანებს, ერთმანეთთან საუბარი ძირითადად შეეხებოდა საკუთარ პრობლემა-ყოფა ცხოვრების საკითხებს, ცხადია იყო არჩევნების თემა, პოლიტიკა, პროგნოზები...

არჩევნები შედგა, გამოვლინდა გამარჯვებული, მაგრამ სიქთარველები არც მომავალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც შეგვიძლია ისე დავუდგებით გვერდში არჩეულთ და სოფელს. ცხადია იყო იმედგაცრუება, გულნყვეტა, როგორც კანდიდატების, ისე მათი ამომრჩეულის მხრიდან, მაგრამ ეს არ ასახულა ურთიერთობაზე, დაპირისპირების ადგილი არ ქონია.

იმ დღეს მე ვამაყობდი ჩემი თანასოფლელებით. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა უყურებ რა ხდება სხვა მუნიციპალიტეტში, დედაქალაქშიც კი, არც ტელევიზიების და ჟურნალისტების პოზიციაა მისაბაძი.

სიქთარვის საარჩევნო უბანში (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შოთა რობაქიძე), ჩხარიეწრის საარჩევნო უბანში (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რამაზ რობაქიძე) სრული კონტროლი იყო დანესებული, როგორც ხმის მისაღებ ოთახში, ისე შენობის გარეთ. ამომრჩეველთა წესრიგი თვალშისაცემი იყო. ორივე უბანში საარჩევნო ერთიან საერთო სიაში 1614 ამომრჩეველი იყო, პირველმა უბანში ხმა კახაბერ მემანიშვილმა და ნათია ფორჩხიძემ მისცა.

ორივე უბანზე შევხვდი ამომრჩევლებს, რომლებმაც თქვეს, რომ ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს, პარტიას, გავესაუბრე რამდენიმე კოორდინატორს, დამკვირვებლებს, დეპუტატობის კანდიდატებს, ისინი ამბობდნენ, რომ დარღვევის რაიმე ფაქტი უბნებში არ ყოფილა.

ხმის დათვლაც მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, საჩივრები არ დანერილა. შენიშვნა იყო გადასატანი ყუთის სიაში შეტანილ ამომრჩეველზე, ითქვა, რომ რამდენიმე მათგანი ამოიღეს სიიდან, მართალია არიან ერთიან სიაში, მაგრამ ვერ მოვლენ ავადმყოფობის გამო და შესაბამისად ვერც თავის არჩევანს გააკეთებენ. ამ საკითხის გამო საუბნო-საარჩევნო კომისიაში გააკეთეს განმარტება, რომ ასეთ სიაში შეიტანებიან მხოლოდ ის ამომრჩეველები, რომლებსაც გადაადგილება არ შეუძლიათ.

ამ საკითხის გამო არც ამომრჩეველს და არც მათი ოჯახის წევრებს საუბნო-საარჩევნო ან საოლქო კომისიისათვის არ მიუმართავთ.

ძუძუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა"

გამომცემელი
ვალერიან ბობიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ფ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხოხლი ენ"-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი"
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872